პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი
№ 203 (10900)

ოთხშაბათი, 28 აგვისტო, 1957 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).
ამხანაგ ხო ში მინის მიღება (1-ლი გვერდი).
საქართველოს მშრომელები განიხილავენ „ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ კანონის პროექტს (მე-2 გვერდი).
საკადესის ცნობა (მე-2 გვერდი).
ნ. ვასილიევი. — შემოქმედებითი მარქსიზმის გენიალური ნაწარმოები (მე-2 და მე-3 გვერდი).
გაზეთების ფურცლებზე (მე-2 გვერდი).
ს. ქოჩლაძე. — მოწინავეთა მაგალითისამებრ (მე-3 გვერდი).
ვამოწმებთ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. — **ს. ნარიმანიძე.** — მეგობარია მეზველრა (მე-3 გვერდი).
ახალი სასწავლო წელისათვის სკოლების სანიმუშოდ მოსამზადებელ სამუშაოებზე. — **ს. კუჭავა.** — საზოგადოებრივობის [illegible] მე. შესანიშნავი ინიციატივა. ახალი სასკოლო [illegible] ბები (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★ ★

ძვირფასი სტუმრები რუსთავში

უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში რუსთავის მეტალურგებს მრავალი დელეგაცია ეწვია. ინდუსტრიულ ქალაქში გულთბილად ხვდებიან ყველა სტუმარს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ის შეხვედრა, რაც ქართველმა მეტალურგებმა სტალინოს, მაკეევკის, ტაგანროგის და აზოვსტალის მეტალურგთა წარმომადგენლებს — თავიანთ ყოფილ მასწავლებლებს მოუწყეს რუსთავში.

სტუმრები გულდასმით გაეცნენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საამქროთა მუშაობას, 7-საათიან სამუშაო დღეზე გადასასვლელად განხორციელებულ კონკრეტულ ღონისძიებებს. მოხდა გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

28 აგვისტოს საღამოს მეტალურგთა კულტურის სასახლეში სტუმრების პატივსაცემად მოეწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი თემატური საღამო „ჩვენი მიღწევები“, რომელიც ხალხთა შორის დიდი მეგობრობის ნამდვილ ზეიმად გადაიქცა.

— საღამოზე მოწვეულთა დიდი ინტერესი გამოიწვია ორიგინალურმა მოსაზვევმა ბარათებმა. უფრო სწორად ეს იყო საგულდაგულოდ მომზადებული ბროშურა საერთო სათაურით: „ჩვენი ქარხანა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის“. ფოტოილუსტრაციებიანი ბროშურა გვაცნობს საქართველოში მეტალურგიის განვითარების მოკლე ისტორიას, რუსთავის სტალინის სახელობის ქარხნის ცალკეულ საამქროთა ტექნოლოგიას, მეტალურგთა შრომითს მიღწევებს, კადრების ზრდას, ახალგაზრდა ინდუსტრიული ქალაქის მშენებლობისა და მისი შემდგომი ზრდის პერსპექტივებს.

სიტყვა მისალმებისათვის ეძლევა ქარხნის დირექტორს ს. შარაძენიძეს.

— ჩვენი ქარხნის კოლექტივის წარმატებებში, — ამბობს იგი, — განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით რუსეთისა და უკრაინის მეტალურგიულ საწარმოთა სპეციალისტებს, რომლებმაც დიდი მონდომებითა და მზრუნველობით გამოგვიზარდეს მეტალურგთა საიმედო კადრები. მათ მიერ მომზადებულმა მრავალმა ქართველმა ახალგაზრდამ მოკლე ხანში იმდენად აიმაღლა კვალიფიკაცია, რომ ამჟამად ინჟინერ-ტექნიკოსების თანამდებობაზე მუშაობენ. ასეთები არიან: საიირო საამქროს უფროსი ა. ყაზარაშვილი, საბრძმედე საამქროს უფროსი ოსტატი ვ. კობერიძე, მარტენის საამქროს უფროსი ოსტატი ვ. გიგიბერია, ბოყვების ეზოს უფროსი ოსტატი ვ. ფირცხალავა და სხვები.

ორატორმა, ილაპარაკა შრომითს წარმატებებზე, ჯერ კიდევ გამოუყენებელ რეზერვებზე და რწმენა გამოთქვა, რომ რუსთავის, სტალინოს და სუმგაითის მეტალურგები კიდევ უფრო მაღლა ასწევენ სოციალისტური შეჯიბრების დროშას, ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის კიდევ უკეთეს საწარმოო მაჩვენებლებს უპატაკებენ დიდა სამშობლოს.

ამხ. შარაძენიძემ სტალინოელ მეტალურგთა დელეგაციის ხელმძღვანელი ფ. გუბაიდულინი.

— ჩვენ, თქვენი თანამოძმენი და ყოფილი მასწავლებლები, სიამაყით აღვნიშნავთ, რომ თქვენ მოკლე ვადაში აითვისეთ მეტალურგიული წარმოების რთული ტექნოლოგია, მაშინ როცა სტალინოელებს თავის დროზე ამისათვის გაცილებით მეტი დრო დაგვჭირდა. თქვენი მიღწევები განაპირობა ჩვენს შორის სოციალისტურმა შეჯიბრებამ, მეგობრობამ, ურთიერთდახმარების კეთილშობილურმა გრძნობამ. ამხ. გუბაიდულინმა რუსთავის მეტალურგებს საჩუქრად გადასცა სტალინოს მეტალურგიული ქარხნის ცხოვრების ამსახველი ალბომი.

დაუვიწყარი შთაბეჭდილება დატოვა სტალინოელი მეფოლადის გ. პეტროვის გამოსვლამ.

— ბევრი რამ მომეწონა თქვენს ქარხანაში, — ამბობს იგი, — ყველაზე მეტად კი ის, რომ თქვენი საწარმო ხალხთა მეგობრობის კერაა. დე უფრო განმტკიცდეს ეს მეგობრობა — ჩვენი ძლიერების უშრეტი წყარო! ამ სიტყვებთან ერთად რუსთავის მეტალურგებს მან საჩუქრად გადასცა ფოლადის სახსმელი ციცხვის მოდელი.

გულთბილი, მეგობრული გრძნობით იყო გამსჭვალული ტაგანროგის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადის დ. პეტრენკოს, მისი ყოფილი მოწაფის რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს უფროსი ოსტატის ვ. გიგიბერიას, ენაკიევოს მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს ცვლის უფროსის ვ. სიდოროვის, მისი სახელოვანი ქართველი მოწაფის საბრძმედე საამქროს უფროსი ოსტატის ვ. კობერიძის, სტალინოს მეტალურგიული ქარხნის სორტსაგლინავი საამქროს უფროსის ნ. რევენკოს გამოსვლები.

სიდოროვმა ვ. კობერიძეს ენაკიევოს მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს კოლექტივის სახელით საჩუქრად გადასცა ალბომი, რომელშიც მოთავსებულია მებრძმედეთა წერილი ვ. კობერიძისადმი.

რუსთავისა და სტალინოს მეტალურგებმა შეაჯამეს სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

ეს იყო დიდი ხნის უნახავი მეგობრების დაუვიწყარი შეხვედრა, რომელიც დამთავრდა დიდი კონცერტით.

• • •

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ქ. სტალინოს მეტალურგიული ქარხნის რკინიგზის საამქროს ორთქლმავლის მემანქანე ი. კირიუშინი, სორტსაგლინავი საამქროს უფროსი ი. რევენკო, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის წვრილსორტული საამქროს უფროსი ვ. პოპიაშვილი და უფროსი მეალცავი ვ. ხავთასი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ვ. ი. ლენინის ძეგლი

საჩხერე. (საკ. კორ.). საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომისა და რაიაღმასკომის ეზოში გაშენებულ ბაღში ამას წინათ საზეიმოდ გაიხსნა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის, დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ძეგლი. ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილი მშრომელთა მიტინგი წარმოადგენდა დიდი ლენინის საქმისადმი მასების სიყვარულისა და ერთგულების შესანიშნავ დემონსტრაციას.

სიმწიფის ატესტატი — კოლმეურნეობაში

ლანჩხუთი. (საკ. კორ.). საკოლმეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებში მომუშავე სოფელ მამათის კოლმეურნეობის წევრებს თვალსაჩინო დახმარებას უწევს სოფლის ახალგაზრდობა. მათ შორის ბევრია საშუალო სკოლის კურსდამთავრებული.

სიმწიფის ატესტატის მიღების შემდეგ ახალგაზრდებმა გ. ხელაძემ, ზ. კილაძემ, ნ. სიხარულიძემ და სხვებმა სურვილი გამოთქვეს კოლმეურნეობაში იმუშაონ, ამავე დროს ისინი ემზადებიან, რომ დაუსწრებლად განაგრძონ სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში.

შახტების მემონტაჟეები მოწინავეთა რიგებში

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ქვანახშირის, ნავთობისა და სამთამადნო მრეწველობის საამმართველოს შახტმემონტაჟეთა კოლექტივები ასრულებენ სხვადასხვა სამონტაჟო სამუშაოს არა მარტო უშუალოდ შახტებში, არამედ მიწის ზედაპირზეც. საოქტომბრო შეჯიბრებაში ჩაბმისას მათ გადიდებული საწარმოო დავალებების გადაჭარბებით შესრულება იკისრეს და საქმე ისე აწყეს, რომ ამ ვალდებულებებს გადამეტებით ასრულებენ.

შახტების მემონტაჟეთა მიერ გაწეული მთელი მუშაობის შეჯამებამ, რაც 25 აგვისტოსათვის მოხდა, ცხადყო, რომ ისინი უკვე უახლოვდებიან მუშაობის იმ დონეს, რომელიც 7 ნოემბრისათვის უნდა ყოფილიყო მიღწეული. წელს 1 აგვისტოსათვის საქართველოს შახტების სამონტაჟო სამმართველომ გეგმა 121,7 პროცენტით შეასრულა.

საოქტომბრო ვალდებულებების ვადაზე ბევრად ადრე შესრულება უზრუნველყვეს შაორის სამონტაჟო უბნის კოლექტივმა (უბნის უფროსი ა. კობერიძე), რომელსაც გეგმა შესრულებული აქვს 133 პროცენტით. ტყვარჩელის სამონტაჟო უბნის კოლექტივმა (უფროსი გ. რაზმაძე) გეგმა შეასრულა 129 პროცენტით, ტყიბულელმა შახტ-მემონტაჟეებმა (უბნის უფროსი ა. ბასილაია) — 121 პროცენტით და თბილისელმა მემონტაჟეებმა (უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი შ. თურქია) — 103,7 პროცენტით.

საბჭოს ქუჩის რეკონსტრუქცია

ქალაქის ერთ-ერთ დიდ მაგისტრალზე — საბჭოს ქუჩაზე საქალაქო ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობაა. ძირითადად ამ ქუჩით უკავშირდება ლენინის რაიონი ქალაქის სხვა რაიონებს. ეს მაგისტრალი მოლოტოვის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრიდან რკინიგზის გადასასვლელ ხიდამდე მეტად ვიწრო იყო, რაც დიდ სიძნელეს უქმნიდა საქალაქო ტრანსპორტს.

ახლა ამ ადგილზე დიდი გამოცოცხლებაა, დილიდან საღამომდე მუშაობენ ექსკავატორები, ბულდოზერები, ავტომანქანები. ჰიდროინერგომშენის ტრესტის სამოქალაქო და საბინაო მშენებლობის სამმართველომ დაიწყო საბჭოს ქუჩის ამ ნაწილის გაფართოება, არსებული 13-17 მეტრიდან 27 მეტრამდე. საჭირო გახდა ბევრი საცხოვრებელი სახლის აღება და მობინადრეთა გადაყვანა ახალ ადგილას. სხვა ადგილზე გადააქვთ აგრეთვე რკინიგზის თბილისის კვანძის მეურნეობის ნაწილი.

სავსებით იცვლება არსებული საყრდენი კედელი. ამ ადგილზე იგი 4,5-9 მეტრი სიმაღლისა კეთდება. უახლოეს ხანში დაიწყება ბეტონის ჩაწყობა საყრდენი კედლის საფუძველში. სულ აქ შესასრულებელია 4 ათასი კუბური მეტრი მიწის და 6 ათასი კუბური მეტრი რკინაბეტონის სამუშაოები.

ხელახლა კეთდება მიწისქვეშა კომუნიკაციები. აღებულია და ხელახლა დაიგება ტრამვაის ლიანდაგი. ორივე მხარეს გაუკეთდება 2,5-5 მეტრამდე სიგანის ტროტუარები. ქუჩის სავალი ნაწილი თითქმის ოც მეტრამდე გაფართოვდება. ქუჩა გამწვანდება. გადასასვლელ ხიდთან მოედანზე მოეწყობა პარკი.

მშენებლები დიდი გაცხოველებით შრომობენ, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის დაამთავრონ სამუშაოები. მაშინ ეს ადგილი ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე იქნება თბილისში.

ახალგაზრდობის შრომითი აღზრდა — ყურადღების ცენტრში

საინტერესო იყო ამ რამდენიმე დღის წინათ საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის ინიციატივით მოწვეული თბილისის სამრეწველო საწარმოების კომკავშირული აქტივის კრება, რომელმაც განიხილა საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში საწარმოებში მომუშავე ახალგაზრდების მონაწილეობის საკითხი.

ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩაბმული დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის მზადებაში. კრებაზე მოხსენებით გამოსულმა საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ბ. კუხიანიძემ მოიყვანა მრავალი მაგალითი, დაასახელა ბევრი ფაქტი იმის ნათელსაყოფად, თუ რა დიდი შრომითი წვლილი შეაქვთ საწარმოებში მომუშავე კომკავშირელებსა და ახალგაზრდებს პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების გადაჭრისათვის ბრძოლაში. ეს მაგალითები შეეხებოდა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხშენებელი ქარხნის, ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის, მაუდ-კამვოლის კომბინატის და მთელ რიგ სხვა საწარმოთა ახალგაზრდა მუშების საქმიანობას. ჩვენი მუშა ახალგაზრდობის შემოქმედებითი შრომის შესანიშნავ ნაყოფს წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ წელს 7 თვეში თბილისის საწარმოებში მომუშავე ახალგაზრდებმა წარმოადგინეს 2.363 რაციონალიზატორული წინადადება, აქედან წარმოებაში დანერგეს 1.602 და ამით სამშობლოს 3.314.143 მანეთი ეკონომია მისცეს.

საწარმოებში აქა-იქ კიდევ გვხვდებიან ისეთი ახალგაზრდა მუშები, რომლებიც ცუდად მუშაობენ, ჩამორჩებიან, ცუღლუტობენ და ზოგჯერ უწესოდაც იქცევიან. მათ არ იზიდავენ პოლიტიკური სწავლების ქსელში, ადგილობრივი, სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები მათ მიმართ განსაკუთრებულ მზრუნველობას არ იჩენენ.

ახალგაზრდა მუშათა შორის მუშაობის საკითხებზე ილაპარაკეს ო. ღლონტმა, მ. ბაბუნაშვილმა, ვ. ბრეშკოვმა, ო. სამანიშვილმა, გ. მღებრიშვილმა, მ. კალანდაძემ, ზ. ოგანეზოვმა და სხვ.

ყველამ ერთხმად აღიარა, რომ საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ახალგაზრდებს შორის მუშაობის გაძლიერებას. უზრუნველყოფილ უნდა იქნას მათი კვალიფიკაციის ამაღლება, რაც უთუოდ გამოიწვევს მათს მეტ დაინტერესებას შრომითი მიღწევებით.

ამხანაგ ხო ში მინის მიღება

26 აგვისტოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებმა მ. ა. სუსლოვმა, ო. ვ. კუუსინენმა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა მ. გ. პერვუხინმა მიიღეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ხო ში მინი, რომელიც სამშობლოში მიმავალი მოსკოვში იმყოფება.

საუბარში, რომელიც მეგობრულ, გულითად ვითარებაში მიმდინარეობდა, განხილულ იქნა ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხები.

საუბარს დაესწრნენ ვიეტნამის მშრომელთა პარტიის პოლიტბიუროს წევრი ხოანგ ვან ხოანი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ნგუენ ვან კინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ი. ვ. ანდროპოვი, სსრ კავშირის ელჩი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მ. ვ. ზიმიანინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების განყოფილების გამგე ბ. მ. ვოლკოვი.

გეგეჭკორის რაიონის გაქედილის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი თალიკო წულაია ყოველდღიურად კრეფს 60-80 კილოგრამ ჩაის ფოთოლს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20 კილოგრამისა. **სურათზე:** თ. წულაია ჩაის პლანტაციაში.

ფოტო შ. გოჭაძისა.

საქართველოს მშრომელები განიხილავენ „ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ კანონის პროექტს

★ ★ ★

საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები იწონებენ

სოფელ მაიაკოვსკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა მუყაითი შრომის შედეგად სიმინდისა და ყურძნის მოსავალს კარგი პირი უჩანს. საშუალოდ ჰექტარზე 70 ცენტნერი ყურძნის მიღებას ვვარაუდობთ. თავდადებული შრომით საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა პატივისცემა დაიმსახურეს მოწინავე კოლმეურნეებმა ა. მაისურაძემ, ა. ხარაბაძემ, ე. ხმალაძემ, მ. რობაქიძემ და სხვებმა. მაგრამ არიან კოლმეურნეობის ისეთი წევრებიც, რომლებიც არ მონაწილეობენ საკოლმეურნეო შრომაში. წელს 56 კოლმეურნეს არც ერთი შრომადღე არ გამოუმუშავებია. მათ რიცხვს მიეკუთვნება ე. ნაკაშიძე, დ. მახარაძე და სხვ.

დიდი კმაყოფილებით გავეცანით „ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ კანონის პროექტს. იგი სავსებით გამოხატავს ჩვენი პატრიოსანი, შრომისმოყვარე კოლმეურნეების სურვილებს და დიდ როლს შეასრულებს მუქთახორებისა და უქნარების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველდღიურად ზრუნავენ მოქალაქეთა შრომის პირობებისა და მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. სისტემატურად იზრდება მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი, კოლმეურნეთა შემოსავალი, უმჯობესდება შრომისუუნარო და მოხუც მოქალაქეთა მატერიალური უზრუნველყოფა. თვითეული საბჭოთა ადამიანის ვალია ასეთ ზრუნვას უპასუხოს თავდადებული შრომით სოციალისტური სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბანზე. ვინც შრომას გაურბის, იმას ჩვენს საზოგადოებაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. პარაზიტული ცხოვრება შეუთავსებელია სოციალიზმის დიად პრინციპებთან.

ჩემი აზრით კარგი იქნება, თუ გაძლიერდება სასჯელის ზომა ისეთი პირების მიმართ, რომლებიც საერთო კრების მიერ მიცემული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში არ გამოასწორებენ თავიანთ ქცევას. ვფიქრობ, ამ საკითხმა ასახვა უნდა ჰპოვოს კანონში.

გ. ენდელაძე,

მაიაკოვსკის რაიონის სოფელ მაიაკოვსკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი.

შრომა აკეთილშობილებს ადამიანს

საბჭოთა საზოგადოებაში, სადაც ლიკვიდირებულია სოციალური საფუძველი პარაზიტული ელემენტების არსებობისათვის, არ უნდა იყვნენ მუქთახორები. ამიტომ არის, რომ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები იწონებენ და მხარს უჭერენ „ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ კანონის პროექტს, რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიამ საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოიტანა.

შრომა ჩვენს დიად სოციალისტურ ქვეყანაში სიხარულისა და ბედნიერების, საამური ცხოვრების წყაროა. შემოქმედებითი შრომის საბჭოთა ადამიანები გმობენ იმათ საქციელს, ვინც შრომას გაურბის და პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა. სავსებით ბუნებრივია, რომ ასეთი პირების მიმართ გადამჭრელი ზომები უნდა იქნას მიღებული.

მაგრამ ვერ დავეთანხმები ამხ. ა. ივანიძის მიერ გამოთქმულ აზრს, რომ თითქოს არც ერთ შემთხვევაში არ არის საჭირო გაფრთხილების მიცემა გამოსაცდელი ვადით. იმათთვის, ვინც თავს არიდებს შრომას (იხ. გაზეთ „კომუნისტის“ 24 აგვისტოს ნომერი). ვფიქრობ, თუ მოქალაქეთა კრება დარწმუნდება იმაში, რომ ესა თუ ის პიროვნება შეძლებს თავის შეცდომის გამოსწორებას უახლოეს ხანში, ასეთ პირებს უნდა მიეცეთ გაფრთხილება გამოსაცდელი ვადით. ოღონდ, ჩემი აზრით, კანონში ზუსტად უნდა განსაზღვროს გამოსაცდელი ვადის ხანგრძლივობა.

მ. ბურჯანაძე,

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მქსოველი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

კარგი ღონისძიება

ჩვენი კოლმეურნეობა მრავალდარგოვანი მეურნეობაა. სიმინდის ყანებში, ჩაის პლანტაციებში, ვენახებსა და მეცხოველეობის ფერმებში წარმატებით შრომობენ კოლმეურნეები. ისინი ძალასა და ენერგიას არ ზოგავენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

მაგრამ ზოგჯერ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების აგროვადებში შესრულება გვიძნელდება, რადგან, სამწუხაროდ, ჩვენს სოფელში შრომისმოყვარე კოლმეურნეების გვერდით ჯერ კიდევ არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც პატიოსან შრომას გაურბიან და მაწანწალობას ეწევიან. ასეთებია: ტ. ვასაძე, რ. ვაშალომიძე, ა. ვასაძე და სხვები. ზოგნი კი ანტიკუნტად მუშაობენ. ყოველივე ეს უარყოფით გავლენას ახდენს კოლმეურნეობის საქმიანობაზე.

მართალია, წელს კოლმეურნეობაში საქმე უკეთ მიდის, ვიდრე წინა წლებში, მაგრამ მეტი წარმატება გვექნებოდა, ყველა შრომისუნარიანი ადამიანი რომ მონაწილეობდეს საკოლმეურნეო შრომაში. ამიტომ არის, რომ ჩვენი სოფლის მშრომელები მხურვალე მოწონებით შეხვდნენ „ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ კანონის პროექტს. ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას.

გ. კუტალაძე,

სამტრედიის რაიონის სოფელ ტოლების 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

მხარს ვუჭერთ კანონის პროექტს

ხელთუბნელმა კოლმეურნეებმა კარგად იციან, რომ შეძლებული ცხოვრების ძირითადი წყაროა შრომა. ისინი აოფრთოვანებით მუშაობენ საკოლმეურნეო წარმოებაში. ამ თავდადებული შრომის შედეგია, რომ სოფელში შარშან და წელს 50-მდე კოლმეურნის ოჯახმა აიგო ახალი საცხოვრებელი სახლი.

მაგრამ ჩვენს სოფელში ჯერ კიდევ არიან ცალკეული ადამიანები, რომლებიც ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან. მაგალითად, გ. ტერტერაშვილს, ს. კოჩუაშვილს, მ. კობლიაშვილს წელს კოლმეურნეობაში არც ერთი შრომადღე არ გამოუმუშავებიათ.

ასეთი პირების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნას საზოგადოებრივი ზემოქმედების გადამწყვეტი ღონისძიებები.

ჩვენ გულდასმით გავეცანით „ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ კანონის პროექტს. მისი განხორციელება კარგი საშუალება იქნება იმათ წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც ბოროტად არიდებენ თავს საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას.

ს. გაფინჯაყელი,
დ. ფალელაშვილი,

გორის რაიონის სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეობა „განთიადის“ ბრიგადირები.

ქუთაისელ ავტომობილმშენებლებს შორის საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი ისახელეს საინსტრუმენტო საამქროს ზეინკალმა ი. ჯღამაძემ, რომელიც აგვისტოში დავალებებს სისტემატურად 300-350 პროცენტით ასრულებს. სურათზე: საამქროს ოსტატი რ. კვერნაძე (მარცხნივ) ახალი დეტალის დამუშავების თავისებურებას განუმარტავს ზეინკალ ი. ჯღამაძეს.

ფოტო პ. ლუცენკოსი (საქდესის ფოტოქრონიკა).

★

გაზეთების ფურცლებზე

„აი რა მოგვცა ოქტომბერმა“

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, — წერს შუახევის რაიონული გაზეთი „დროშა“, — სოფელი ჭვანა მიყრუებულ, ჩამორჩენილ კუთხეს წარმოადგენდა. არ იყო სკოლა და წერაკითხვაც არავინ იცოდა, ხოლო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებზე წარმოდგენაც არავის ჰქონდა. ხოჯები რელიგიის ბურუსში ახვევდნენ მოსახლეობას. ახლა კი ჭვანაში ერთი საშუალო, ორი შვიდწლიანი, რამდენიმე დაწყებითი სკოლაა, სადაც 1.000-მდე ბავშვი სწავლობს. სოფელში არის კლუბი, ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი. სოფლის მოსახლეობის ჯანმრთელობის საქმეს ემსახურება კეთილმოწყობილი საექიმო ამბულატორია კვალიფიციური სამედიცინო მუშაკებით. მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის ინტელიგენციის რიგები. ამჟამად აქ მუშაობს 40-ზე მეტი მასწავლებელი, ექიმი, აგრონომი.

ჭვანელმა მშრომელებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მიღებისათვის, რათა ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს.

ლეუშერელთა წარმატებანი

ლენტეხის რაიონულმა გაზეთმა „კომუნიზმის დროშამ“ ამას წინათ ერთი გვერდი დაუთმო მასალებს, რომლებშიც ლაპარაკია სოფელ ლეუშერის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელთა წარმატებებზე ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებულ შეჯიბრებაში. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. შავრეშიანი წერს, რომ მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდაში. მიმდინარე წლის 7 თვეში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით ერთ საფურაუე ძროხაზე მიღებულია 95,2 ლიტრით მეტი რძე. ამასთან ერთად მთელი რიგი ღონისძიებები ხორციელდება ნათესი ფართობების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებისათვის. ბრიგადებსა და რგოლებს შორის ფართოდ არის გაჩაღებული საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება ჰექტარზე 18 ცენტნერი სიმინდის მისაღებად.

როგორც გაზეთი აღნიშნავს, კოლმეურნეობაში წარმატებით მიმდინარეობს ახალი მშენებლობა: აგებენ კლუბ-კინოთეატრს, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმას, საცხოვრებელ სახლს ფერმის მუშაკებისათვის და ა. შ.

საქდესის ცნობა

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გეგმის შესაბამისად საბჭოთა კავშირში მოეწყო საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის წარმატებით გამოცდა, აგრეთვე ატომგულისა და თერმოატომგულის იარაღის აფეთქება.

I.

ამ დღეებში განხორციელდა ზეშორი, საკონტინენტთაშორისო, მრავალსაფეხურიანი ბალისტიკური რაკეტის გაშვება.

რაკეტის გამოცდამ წარმატებით ჩაიარა და სავსებით დაადასტურა გაანგარიშებისა და არჩეული კონსტრუქციის სისწორე. რაკეტის ფრენა წარმოებდა ძალიან დიდ, ჯერ კიდევ მიუღწეველ სიმაღლეზე. გაიარა რა მოკლე დროში უდიდესი მანძილი, რაკეტი მოხვდა გათვალისწინებულ რაიონში.

მიღებული შედეგები გვიჩვენებენ, რომ არის სრული შესაძლებლობა რაკეტების გაშვებისა დედამიწის ყოველ რაიონში. საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების შექმნის პრობლემის გადაჭრა საშუალებას იძლევა მიღწეულ იქნას დაშორებული რაიონები სტრატეგიული ავიაციის გამოუყენებლად, რომლისთვისაც ზიანის მიყენება ამჟამად შესაძლებელია საჰაერო თავდაცვის თანამედროვე საშუალებებით.

გაითვალისწინა რა უდიდესი წვლილი მეცნიერების განვითარებაში და ამ მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დიდი მნიშვნელობა საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის, საბჭოთა მთავრობამ მადლობა გამოუცხადა იმ მუშათა დიდ კოლექტივს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების და იმ საშუალებათა კომპლექსის შემუშავებასა და დამზადებაში, რომლებიც უზრუნველყოფენ რაკეტების გაშვებას.

II.

უკანასკნელ დღეებში საბჭოთა კავშირში მოეწყო ატომგულისა და თერმოატომგულის (წყალბადის) იარაღის მთელი რიგი აფეთქებანი. მოსახლეობის უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით აფეთქებები განხორციელდა დიდ სიმაღლეზე. გამოცდებმა წარმატებით ჩაიარა.

ზემოაღნიშნულ ექსპერიმენტებთან დაკავშირებით საქდესი დაფიქრებულია აქვს განაცხადოს.

მოაჯალი წლის მანძილზე გერმანიაში ნებადართული ერების ორგანიზაცია უშედეგოდ განიხილავს განიარაღების პრობლემას, მათ შორის ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის საკითხს და მისი გამოცდის შეწყვეტის საკითხს.

საბჭოთა მთავრობას, რომელიც განუხრელად ახორციელებს მშვიდობის პოლიტიკას, არაერთხელ შეუტანია კონკრეტული წინადადებანი სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების არსებითი შემცირების შესახებ, ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის შესახებ, ამ სახეობათა იარაღის გამოცდების შეწყვეტის შესახებ და განიარაღების პრობლემასთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებათა შესახებ. მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოებს დღემდე არ გადაუდგამთ არავითარი რეალური ნაბიჯი განიარაღების დარგში. პირიქით, ისინი ყოველგვარ დაბრკოლებას ქმნიან თანამედროვეობის ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის შესახებ შეთანხმებათა მიღწევის გზაზე.

როგორც ცნობილია, შეერთებული შტატები და მათი პარტნიორები არა მარტო უარს ამბობენ ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვაზე, არამედ ფაქტიურად არ სურთ შეთანხმება ატომგულის იარაღის გამოცდის უთუო და დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ და ამასთან ახორციელებენ ამ იარაღის გამოცდების დიდ სერიას.

წააწყდა რა დასავლეთის სახელმწიფოების, და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების, ასეთ აშკარა უარყოფით დამოკიდებულებას განიარაღების საკითხის დადებითად გადაჭრისადმი, საბჭოთა მთავრობა იძულებულია მიიღოს ყველა საჭირო ღონისძიება საბჭოთა სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით.

ამასთან ერთად საბჭოთა მთავრობა კვლავ მტკიცედ ეცდება მიაღწიოს შეთანხმებას ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტისა და მისი აკრძალვის შესახებ, მთლიანად განიარაღების პრობლემის შესახებ, რომლის დადებითად გადაჭრით დაინტერესებულია მსოფლიოს ყველა ხალხი.

დოროგობუჟის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური ენერგიით ივსება

სმოლენსკი, 25 აგვისტო. (საქდესი). დღეს ამუშავდა დოროგობუჟის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური. დენი გამოუშვა პირველმა აგრეგატმა.

ელექტროსადგური აშენდა დნეპრის პირად, მაღაროელთა ახალგაზრდა ქალაქის საფონოვოს ახლოს. ადგილობრივ შახტებში მოპოვებული ქვანახშირი სათბობად ხმარდება სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურს. სადგური ენერგიას მიაწვდის სმოლენსკის ოლქის საწარმოებს, მშენებლობებს, სოფლებს.

სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ამუშავებასთან დაკავშირებით გაიმართა მიტინგი. დოროგობუჟშახტმშენის ტრესტის მშენებლებს, აგრეთვე მემონტაჟეებს დიდი გამარჯვება მიულოცეს მიტინგზე გამოსულმა სსრ კავშირის ელექტროსადგურების მინისტრმა ამხ. პავლენკომ, სმოლენსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. პროკოფიევმა, პარტიის სმოლენსკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. დორონინმა, კოლმეურნეობა „ილიჩის გზის“ აგრონომმა ამხ. ალექსეევამ და სხვებმა.

შემოქმედებითი მარქსიზმის გენიალური ნაწარმოები

ვ. ი. ლენინის წიგნის „სახელმწიფო და რევოლუცია“ 40 წლისთავისათვის

დიდი ლენინის უკვდავ ქმნილებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის შრომას „სახელმწიფო და რევოლუცია“, რომელიც დაწერილია 1917 წლის აგვისტო-სექტემბერში.

ისტორიული მოვლენების მთელმა მსვლელობამ საკითხი სახელმწიფოს შესახებ იმ დროს პირველ ადგილზე დააყენა. ვ. ი. ლენინის წიგნმა „სახელმწიფო და რევოლუცია“ და მისმა სხვა შრომებმა ამომწურავი პასუხი გასცეს ამ საჭირბოროტო საკითხზე. წიგნი პირველად გამოქვეყნდა მხოლოდ ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ, 1918 წელს, მაგრამ მისი წამყვანი იდეები ლენინმა ფართოდ გამოიყენა სტატიებსა და გამოსვლებში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების მსვლელობაში და მისი ძლევამოსილი განხორციელების პროცესში.

ვ. ი. ლენინმა თავისი წიგნი დაწერა იმ პერიოდში, როდესაც ყოველი ჯურის რევიზიონისტები, II ინტერნაციონალის ოპორტუნისტები ამახინჯებდნენ მარქსისტულ მოძღვრებას სახელმწიფოს შესახებ, რევოლუციაში პროლეტარიატის ძერეული ამოცანების შესახებ. რევიზიონისტები ცდილობდნენ მუშათა კლასის განმათავისუფლებელი მოძრაობა გადაგიდოთ ოპორტუნისტულ, შემთანხმებლურ გზაზე და ამით ეხსნათ შერყეული კაპიტალისტური წყობილება. „საქმის ასეთი მდგომარეობის დროს, — წერდა ლენინი, — მარქსიზმის დამახინჯებათა ისოდენ ვაუგონარი გავრცელების დროს, ჩვენი ამოცანა უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ აღვადგინოთ მარქსის ჭეშმარიტი მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ“ (თხზ., ტ. 25, გვ. 471).

ვ. ი. ლენინმა სავსებით ამხილა მარქსიზმის ოპორტუნისტი ფალსიფიკატორები. თავის წიგნში მან გააშუქა სახელმწიფოს შესახებ მარქსისტული მოძღვრების ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხი, როგორიც არის: ექსპლოატატორული სახელმწიფოს კლასობრივი არსი და მუშათა კლასის დამოკიდებულება მის მიმართ, პროლეტარიატის დიქტატურა როგორც სახელმწიფოს ახალი ტიპი, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა და მუშათა კლასის სახელმწიფოს ისტორიული ბედი. დაწვრილებით განიხილავდა რა თვითეულ ამ საკითხს, ლენინმა შეკრიბა და ყოველმხრივ შეისწავლა მარქსისა და ენგელსის მიერ გამოთქმული აზრები, რომლებშიც დახასიათებულია მათი შეხედულებანი სახელმწიფოზე.

ლენინის წიგნი „სახელმწიფო და რევოლუცია“ დიდად გასცილდა რევიზიონისტების მხილების და სახელმწიფოს შესახებ ჭეშმარიტი მარქსისტული მოძღვრების აღდგენის ამოცანის უშუალოდ შესრულების ფარგლებს. ამ წიგნში ლენინმა განაზოგადა ყველა ქვეყნის მუშათა მოძრაობის გამოცდილება, რუსეთის 1905-1907 წლების პირველი რევოლუციისა და 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამოცდილება, აგრეთვე რუსეთში სოციალისტური გადატრიალების განხორციელებისათვის მუშათა კლასის რამდენიმე თვის ბრძოლის უმდიდრესი გამოცდილება; მან ყოველმხრივ განავითარა მარქსიზმის მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ, გაამდიდრა იგი ახალი ისტორიული ვითარების შესაბამისი ახალი დასკვნებით.

I.

ბურჟუაზიული მეცნიერები ცდილობდნენ სახელმწიფო წარმოედგინათ როგორც ისეთი დაწესებულება, რომელიც თითქოს ადამიანთა საზოგადოების გაჩენასთან ერთად წარმოიშვა და რომელიც მარადიულად იარსებებს. მათი მტკიცებით, სახელმწიფო წარმოადგენს ისეთ ორგანიზაციას, რომელიც კლასებზე მაღლა დგას და მიზნად ისახავს კლასების შერიგებას. ასეთ შეხედულებებს ქადაგებდნენ და დღემდე ქადაგებენ ბურჟუაზიის იდეოლოგები.

ვ. ი. ლენინმა გვიჩვენა, რომ ამ ლათაიებს არაფერი საერთო არა აქვთ მეცნიერებასთან და წარმოადგენენ კაპიტალისტური წყობილების, ბურჟუაზიული სახელმწიფოს იდეოლოგიურ დაცვას. სახელმწიფო, აღნიშნავდა ლენინი, არის კლასობრივ წინააღმდეგობათა შეურიგებლობის პროდუქტი და გამოვლინება, არის კლასობრივი ბატონობის ორგანო, ერთი კლასის მიერ მეორის ჩაგვრის ორგანო, ეს არის შექმნა ისეთი „წესრიგისა“, რომელიც აკანონებს და განამტკიცებს ამ ჩაგვრას.

ლენინი ყურადღებას აპყრობს იმას, რომ ექსპლოატატორების ბატონობა შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა პოლიტიკური ფორმით, მათ შორის ბურჟუაზიული დემოკრატიული რესპუბლიკის ფორმითაც. ბურჟუაზიამ გაუმჯობესა თავისი ბატონობის უზრუნველყოფის მრავალრიცხოვანი მეთოდები და საშუალებები ამ სახელმწიფოებრივი ფორმის ფარგლებში. ლენინმა მოგვცა ბურჟუაზიული დემოკრატიის მომაკვდინებელი დახასიათება, გამოავლინა მისი შეზღუდული, ყალბი ხასიათი. „პარლამენტებში მხოლოდ ლაყბობენ იმ სპეციალური მიზნით, რომ ატყუონ „მდაბიო ხალხი“, — წერდა ლენინი (იქვე, გვ. 522).

სახელმწიფოს როგორც კლასების შერიგების ორგანოს არსის ანტიმარქსისტული გაგებიდან აუცილებლად გამომდინარეობს ოპორტუნისტული დასკვნაც იმის შესახებ, რომ შესაძლებელია მშვიდობიანად, სოციალისტური რევოლუციის მოუხდენლად გადასვლა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე. ამის შესახებ თავმომაბეზრებლად გაჰყვიროდნენ წინათ და ახლაც გაჰყვირიან კაპიტალიზმის დამცველები. ჩვენს დროს მემარჯვენე სოციალდემოკრატები, რომლებმაც საბოლოოდ გაწყვიტეს კავშირი მარქსიზმთან, სხვადასხვა ნიღაბით მშრომელებს სთავაზობენ იმავე ყალბ იდეას იმის შესახებ, რომ შესაძლებელია კაპიტალიზმის ურევოლუციოდ გარდაქმნა სოციალიზმად. ისინი, მაგალითად, ამტკიცებენ, რომ სოციალური რევოლუცია ახლა საჭირო არ არის, რომ იგი თითქოს შეცვალა ინდუსტრიულმა რევოლუციამ, ე. ი. იმ ცვლილებებმა ტექნიკაში, ტექნოლოგიასა და წარმოების ორგანიზაციაში, რომლებიც მოხდა ავტომატიზაციის გამოყენებასთან დაკავშირებით.

რეფორმისტები თავიანთ ოპორტუნისტული დასკვნების დასასაბუთებლად განსაკუთრებით იყენებენ ბურჟუაზიულ ქვეყნებში სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის განვითარების ფაქტს. ბურჟუაზიის აპოლოგეტები ცდილობენ წარმოადგინონ იგი ისე, რომ თითქოს დადგა სოციალიზმი, თითქოს ხდება კაპიტალიზმის რეფორმირება სოციალიზმად. ჯერ კიდევ 40 წლის წინათ ლენინი წერდა: „...ყველაზე გავრცელებულ შეცდომას წარმოადგენს ის ბურჟუაზიულ-რეფორმისტული მტკიცება, თითქოს მონოპოლისტური ან სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმი **უკვე აღარ** იყოს კაპიტალიზმი, უკვე შეიძლებოდეს ეწოდოს მას „სახელმწიფოებრივი სოციალიზმი“ და სხვა ამგვარი“ (გვ. 548). სინამდვილეში კი სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი ბურჟუაზიული წყობილების დროს მხოლოდ მონოპოლისტური კაპიტალის ბატონობის ფორმაა.

ექსპლოატატორული სახელმწიფოს, როგორც მშრომელების დამთრგუნველი ორგანოს არსის მარქსისტული გაგებიდან გამომდინარეობს უდავო დასკვნა, რომ აუცილებელია ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი მანქანის რევოლუციურად მოსპობა. დამსხვრევა. არ შეიძლება ბურჟუაზიული სახელმწიფო თავისთავად მოისპოს, ჩაკვდეს, კაპიტალიზმი ვერ შეეზრდება სოციალისტურ საზოგადოებას, როგორც ამას რეფორმისტები ამტკიცებენ. იმისათვის, რომ მოვსპოთ კაპიტალიზმი, მოვსპოთ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, აუცილებელია მოვსპოთ კაპიტალისტური წყობილების ეკონომიური საფუძველი — წარმოების საშუალებათა კერძო, კაპიტალისტური საკუთრების ბატონობა. ამასთან აუცილებელია მოვსპოთ, დავანგრიოთ კაპიტალის ბატონობის შენარჩუნების მთავარი იარაღი — ბურჟუაზიული სახელმწიფო. ბიუროკრატიულ-სამხედრო სახელმწიფოებრივი მანქანის დამსხვრევის აუცილებლობაშია „მარქსიზმის მთავარი გაკვეთილი იმ საკითხის შესახებ, თუ როგორია რევოლუციაში პროლეტარიატის ამოცანები სახელმწიფოს მიმართ“, — წერდა ლენინი (გვ. 511).

რა რიგ თავისებურადაც უნდა იქმნებოდეს ვითარება ამა თუ იმ ქვეყანაში, მარქსიზმისათვის ურყევია იმის აუცილებლობის აღიარება, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლისას უნდა მოხდეს ძველი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ძირეული, რევოლუციური გარდაქმნა. სწორედ ეს განასხვავებს ნამდვილ რევოლუციურ მარქსიზმს სხვადასხვა ოპორტუნისტული და რევიზიონისტური თეორიებისაგან.

II.

წიგნში „სახელმწიფო და რევოლუცია“ ვ. ი. ლენინმა ღრმად განიხილა საკითხი მუშათა კლასის სახელმწიფოს შესახებ, პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ.

პროლეტარიატის დიქტატურის საკითხისადმი დამოკიდებულებით, აღნიშნავდა ლენინი, უნდა შემოწმდეს მარქსიზმის აღიარებისა და გაგების ჭეშმარიტება, სინამდვილე. „მარქსისტი მხოლოდ ის არის, ვინც კლასების ბრძოლის აღიარებას **პროლეტარიატის დიქტატურის** აღიარებამდე **განავრცობს**“ (გვ. 506).

ლენინის ამ მითითებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ გავიგოთ ძირეული განსხვავება მარქსიზმსა და ცრუსოციალიზმის, რევიზიონიზმის ყოველგვარ ნაირსახეობათა შორის, მიუხედავად იმისა, თუ რა სიტყვიერ სამოსელში იქნებიან ისინი გახვეული.

პროლეტარული სახელმწიფო ძირეულად განსხვავდება ბურჟუაზიული სახელმწიფოსაგან თავისი კლასობრივი ბუნებით, თავისი დანიშნულებით, თავისი როლით საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თავისი ისტორიული ბედით. მუშათა კლასის სახელმწიფო არის სწორედ ამ კლასის პოლიტიკური ბატონობის იარაღი, მისი დიქტატურა. ეს დიქტატურა, ისევე როგორც საერთოდ ყოველი კლასის დიქტატურა, ძალას ემყარება.

მარქსიზმი გვასწავლის, რომ აუცილებელია მუშათა კლასმა ძალადობით უპასუხოს ექსპლოატატორების ძალადობას. სხვა წესი პროლეტარიატის გამარჯვებისათვის და მოპოვებულის შენარჩუნებისათვის არ არსებობს. ამას მოწმობს მსოფლიო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის მთელი ისტორია, განსაკუთრებით სსრ კავშირში პროლეტარიატის დიქტატურის გამოცდილება. ამასვე მოწმობს 1956 წლის ოქტომბერში უნგრეთში კონტრრევოლუციის შეიარაღებული გამოსვლის გაკვეთილები.

მუშათა კლასი ძალას იყენებს მხოლოდ რევოლუციის მტრების წინააღმდეგ, ე. ი. უმნიშვნელო უმცირესობის წინააღმდეგ, იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობს აღადგინოს ძველი წესები.

პროლეტარული სახელმწიფოსათვის ძალადობა არ არის ერთადერთი და მთავარი ამოცანა. პროლეტარული სახელმწიფო წყვეტს მთელ რიგ ამოცანებს, რომლებიც ახასიათებენ მხოლოდ მას, როგორც ახალი ტიპის სახელმწიფოს. „პროლეტარიატისათვის, — წერდა ლენინი, — აუცილებელია სახელმწიფო ძალაუფლება, ძალის ცენტრალიზებული ორგანიზაცია, ძალადატანების ორგანიზაცია ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის დათრგუნვისთვისაც და სოციალისტური მეურნეობის „მოწესრიგების“ საქმეში მოსახლეობის უზარმაზარი მასის, გლეხობის, წვრილი ბურჟუაზიისა და

მოწინავეთა მაგალითისამებრ

შუა ზამთარში კარდანახის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მესვეურები სოფლიდან სოფელში დარბოდნენ, პირუტყვისათვის საკვებს ეძებდნენ, რაიონულ ხელმძღვანელ ორგანოებს მოსვენებას არ აძლევდნენ, შველას სთხოვდნენ. ასე იყო აქ შარშახდლამდე, როცა 20 ათასი მანეთის მარტო უხეში საკვები შეისყიდეს.

გასული წლების მწარე გამოცდილებიდან კარდანახელებმა სათანადო დასკვნა გააკეთეს. მათ გადაწყვიტეს წელს დაამზადონ იმდენი საკვები, რამდენიც საკმარისი იქნება პირუტყვის ნორმალურად გამოზამთრებისათვის. საკვები ბაზის განმტკიცება სიმინდით დაიწყეს. გეგმით იგი 120 ჰექტარზე უნდა დათესილ, ფაქტიურად 217 ჰექტარზე დათესეს. მთავარი ის არის, რომ ნათესის არცერთი მტკაველი დაუმუშავებელი არ დარჩენილა. წინასწარი ვარაუდით საშუალოდ ჰექტარზე 30-40 ცენტნერ (მარცვლად) მოსავალს მაინც მიიღებენ. ნაწვერალზე გეგმით 100 ჰექტარი სიმინდი უნდა დათესილ, ფაქტიურად 150 ჰექტარი დათესეს.

ამ კოლმეურნეობას უამრავი სასილოსე მასა აქვს. ამიტომ გადაწყვიტეს ჩადონ 1.500 ტონა სილოსი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 750 ტონისა. შარშან 950 ტონაზე მეტი სილოსი არ ჰქონიათ. კარდანახელები ნათქვამის განადღებას შეუდგნენ. საკვების დასილოსება ფართოდ გაჩაღეს. გურჯაანის მტს-ის მექანიზატორი ზ. ბასილაშვილი შეუფერხებლად ამუშავებს სილოსის საჭრელ მანქანას. კოლმეურნეები ს. ბერიკელაშვილი, გ. ჯაგაშვილი, მ. მანგოშვილი და სხვები საკვების დასილოსებაზე ენერგიულად მუშაობენ.

პირუტყვისათვის უხეში საკვები კარდანახელებს არ შემოაკლდებათ. მათ 460 ჰექტარზე ეთესათ ხორბალი. მკა მოკლე დროში დაამთავრეს. მოსავლიანობის დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულეს. ბევრი მოვიდა ნამჯაც. იგი მთლიანად დაზვინეს, ნაწილი კი დაწნეხეს. საკვებმოპოვების ბრიგადამ (ხელმძღვანელი ი. ნანობაშვილი) სანიმუშოდ დაამუშავა 15 ჰექტარი ჭარხლის ნათესი. ჰექტარზე საშუალოდ 400 ცენტნერზე ნაკლებ ჭარხალს არ მიიღებენ. კარდანახელებს პირუტყვისათვის დიდი რაოდენობით აქვთ აგრეთვე საზამთრო და გოგრა.

— ჩვენთან ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავალი უხვი მოდის, — თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. შ. გულაშვილმა. — პირუტყვის საკვები იმდენი გვექნება, რომ სხვებსაც გავუმართავთ ხელს. მაგრამ დახმარება გვჭირდება. სიმინდის, ჭარხლის, საზამთროს, გოგრის გამოსაზიდად ტრანსპორტია საჭირო. ურმები მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებს. მანქანებიც გვაქვს, მაგრამ ისინი საბურავების უქონლობის გამო გაჩერებულია. ამ საქმეში ეეკავშირი უნდა დაგვეხმაროს.

რამდენიმე შენიშვნა საკვების დასილოსების გეგმების შესახებ. გეგმით გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებმა 12 ათასი ტონა სილოსი უნდა დაამზადონ. მაგრამ ეს ვერ უზრუნველყოფს საზოგადოებრივ პირუტყვს. განა დრო არ არის, რომ დასილოსების გეგმებში შესწორებები შევიტანოთ?

ველისციხისა და გურჯაანის მტს-ებს აქვთ სასილოსე მასის ასაღები კომბაინები, აქვთ საჭრელი მანქანები, მაგრამ აღნიშნული მანქანები სრულად არ არის გამოყენებული.

ს. ქოჩლაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში ფართოდ ინერგება ახალი ტექნიკა. საბჭოთა სპეციალისტები ამზადებენ ისეთ მექანიზმებს, რომლებიც ადამიანებს უმსუბუქებენ არა მარტო ფიზიკურ, არამედ გონებრივ შრომას. უკანასკნელ დროს სულ უფრო ხშირად იყენებენ სწრაფმოქმედ ელექტროსათვლელ მანქანებს, რომლებიც მრავალი სახის გამოანგარიშებას აწარმოებენ.

თბილისის მაუდკამოლის კომბინატში არის სამანქანო-სათვლელი ბიურო, სადაც ოპერატორები მექანიზმების დახმარებით ახდენენ საანგარიშო ხასიათის ოპერაციებს, მათ შორის არის ე. წ. ფაქტურების გამომთვლელი მანქანა, რომელზეც ხდება როგორც გამრავლება, ისე დაჯამება.

ს უ რ ა თ ი ს ე: კომბინატის სამანქანო-სათვლელი ბიურო. წინა რიგზე ბიუროს უფროსი ქ. ჩოჩელი (მარჯვნიდან) ამოწმებს ოპერატორ მ. ივანიძის ნაანგარიშევს.

ფოტო შ. გოჭაძისა.

ვამოწმებთ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას

მეგობართა შეხვედრა

რამდენიმე წელია ერთმანეთთან სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი წითელწყაროსა და თბილისის გარეუბნის რაიონების მშრომელები.

წითელწყაროელებს ყოველწლიურად პურეულის უხვი მოსავალი მოჰყავთ, კარგად განვითარებული მეცხოველეობა აქვთ. გარეუბნის რაიონის მშრომელებმაც მოიპოვეს მიღწევები მებოსტნეობის, მეცხოველეობის პრიდუქტიულობის ზრდის დარგში.

ამ დღეებში წითელწყაროელ მშრომელთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლები, კოლმეურნეები, მექანიზატორები, სპეციალისტები ეწვია გარეუბნის რაიონს სოციალისტური შეჯიბრების ნახევარი წლის შედეგების გასაცნობად.

წითელწყაროელი სტუმრები დაწვრილებით გაეცნენ სამტრესტის დიდმის მევენახეობა-მებაღეობის და კრწანისის საჯიშე სახეობათა მეურნეობების, აგრეთვე გლდანის სახეობათა საქართველოს სახელობის კოლმეურნეობის მუშაობას, შრომის ორგანიზაციის, შრომის ანაზღაურების საკითხებს, ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის პროცესებს, მოწინავე მებოსტნეთა, მევენახეთა, მეცხოველეთა, მემინდვრეთა გამოცდილებას. აქვე შემოწმდა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაც. გამოირკვა, რომ ორივე რაიონის მშრომელებს სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებში წარმატებით შეუსრულებიათ სოციალისტური შეჯიბრებით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები.

წელს წითელწყაროს რაიონის მშრომელებმა საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 18,2 ცენტნერი ხორბალი, 19,5 ცენტნერი ქერი, მიმდინარე წლის შვიდ თვეში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებული აქვთ 847 ლიტრი რძე, ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე წლიური ვალდებულების 36 ცენტნერიდან — 21,1 ცენტნერი ხორცი (აქედან 4,9 ცენტნერი ღორ.ს ხორცი); 21 ცენტნერი რძე, 4.496 ცალი კვერცხი.

გარეუბნის რაიონში ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე 1 აგვისტოსათვის უკვე მიღებული აქვთ 53,5 ცენტნერი რძე (ვალდებულება 101 ცენტნერს ითვალისწინებს), 18 ცენტნერი ხორცი (ვალდებულება — 33 ცენტნერი), თვითეულ საფურაჟე ძროხაზე—894 ლიტრი რძე (ვალდებულებით ნაკისრია 1.300).

კრწანისის საჯიშე სახეობათა მეურნეობის მეძროხეობის ფერმის გაცნობისას სტუმრები განსაკუთრებით დაინტერესდნენ ფერმაში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციით. მათ მოეწონათ საკვების დასამზადებელი საამქრო.

ი რ ა უამბო სტუმრებს გლდანის სახეობათა საქართველოს სახელობის კოლმეურნეობის მევენახეობის ბრიგადის მერგოლურმა ა. ფიცხელაურმა: — ჩვენს კოლმეურნეობაში მევენახეობა ერთ-ერთი უველაზე შემოსავლიანი დარგია. ჩვენს ბრიგადას, რომელსაც აგროტექნიკოსი ა. მაისურაძე ხელმძღვანელობს, მოსავლელად მიჩენილი აქვს 15 ჰექტარი ვენახი. შარშან ჰექტარზე მოვიყვანეთ 80 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად 60 ცენტნერისა, ხოლო რგოლმა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, 90 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა. ჩვენს მევენახეებს მარტო პრემიაწანამატის სახით 3.200 ლიტრი ღვინო შეხვედთ. წელსაც ბარაქიან მოსავალს მივიღებთ.

წითელწყაროს და გარეუბნის რაიონების წარმომადგენლებმა დაწვრილებით შეამოწმეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა და ბევრი რამ შეისწავლეს ერთმანეთისაგან. ამ გამოცდილებას ისინი საკოლმეურნეო წარმოებაში დანერგავენ.

ს. ნარიმანიძე,
გარეუბნის რაიონული გაზეთის „სტალინის დროშის“ რედაქტორი.

ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების სანიმუშოდ მომზადებისათვის

საზოგადოებრიობის ღვიძილი საქმე

ცხაკაიას რაიონის საწარმოთა კოლექტივები მხურვალედ გამოეხმაურნენ თელავის რაიონის მშრომელთა პატრიოტულ ინიციატივას და დიდი მუშაობა გაეჩაღეს 1957-1958 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და სბავშვო დაწესებულებების სანიმუშოდ მოსამზადებლად.

თელაველთა მოწოდების პასუხად აღებულ ვალდებულებებს პირნათლად ასრულებს რაიონის საწარმოთა დიდი უშრავლესობა.

ცხაკაიას მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობის კოლექტივმა კაპიტალური რემონტი გაუკეთა თეკლათის საშუალო სკოლის შენობას. სკოლის ეზოში გააკეთა ხანძარსაწინააღმდეგო აუზი.

უშაფათის ჩაის ფაბრიკამ და ამავე სოფლის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ უშაფათის საშუალო სკოლას აუშენეს სასწავლო სახელოსნო და ამჟამად ამთავრებენ სკოლისათვის შენობის აგებას, რომელსაც ექვსი საკლასო ოთახი ექნება.

ფოცხოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ კოლობიას დაწყებითს სკოლას აუშენა ხის ოთხოთახიანი შენობა.

სოფელ ეკის სტალინისა და რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობებმა საშუალო სკოლას აუშენეს სასწავლო სახელოსნო, შეაკეთეს სასკოლო შენობა, წესრიგში მოიყვანეს სასპორტო მოედანი. კოლმეურნეობებმა სკოლას კარგად შეუკეთეს აგრეთვე ინვენტარი. ახლა სკოლა სავსებით მომზადებულია ახალი სასწავლო წლისათვის.

შეფი ორგანიზაციებიდან დიდი დახმარება გაუწიეს რაიონის სკოლებს ხორშისა და ქ. ცხაკაიას სტალინის სახელობის კოლმეურნეობებმა, ძველი სენაკის მეღორეობის საჯიშე საბჭოთა მეურნეობამ და სხვა ორგანიზაციებმა.

რაიონში დამთავრდა სასკოლო შენობების რემონტი. სულ კაპიტალური რემონტი გაუკეთდა 17 სასკოლო შენობას, ხოლო მიმდინარე რემონტი — 24-ს. მთლიანად დამთავრებულია აგრეთვე სასკოლო ინვენტარის რემონტი. შეკეთებულ იქნა 1.191 მერხი, 131 საკლასო დაფა, 190 ცალი მაგიდა, 305 ცალი სკამი. გარდა ამისა, გაკეთდა 50 ახალი მერხი, 20 საკლასო დაფა, 30 მაგიდა, 41 კარადა და სხვ.

აღრიცხულია სასკოლო ეზოები, ... დან განთესილია ... ბალი. სკოლები ... კომპლექტებულია პედაგოგიური კადრებით. კაბინეტ-ლაბორატორიები შეესებულ იქნა სასწავლო ხელსაწყოებით.

მაგრამ ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებიც არის. სკოლები ჯერ კიდევ უზრუნველყოფილი არ არიან სახელმძღვანელოებით. ადგილობრივი საავეჭრო ორგანიზაციები („საქწიგნის“ ცხაკაიას მაღაზია და სხვ.) ცუდად არიან ჩამარაგებული სასწავლო ნივთებით. მაგალითად, 13 აგვისტოს აქ არ ჰქონდათ ზოგიერთი სახის რვეული. სრულებით არა აქვთ კალმები და ცარცი.

ქ. ცხაკაიაში შეუწყვარებლად ნელი ტემპით მიმდინარეობს რუსული საშუალო სკოლის მშენებლობა, რაც 1956 წელს დაიწყო. სკოლის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულია 1.654 ათასი მანეთის დახარჯვა. აქედან მშენებელ ორგანიზაციას — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტის სამტრედიის № 5 სამშენებლო სამმართველოს (მმართველი ა. ალფაიძე). გასულ წელს უნდა აეთვისებინა 300 ათასი მანეთი. ფაქტიურად აითვისა 220 ათასი მანეთი; 1957 წელს 400 ათასი მანეთიდან უყაირათო მუშაობის შედეგად 1 აგვისტომდე ათვისებული იყო მხოლოდ 154.270 მანეთი. აქედან ივნისსა და ივლისში, როდესაც მშენებლობისათვის საუკეთესო პირობები იყო, მხოლოდ 26 ათასი მანეთი იქნა ათვისებული. ამჟამად მუშაობა შეჩერებულია პირველი სართულის ჭერის გადასახურავი მასალის უქონლობის გამო. როგორც ტრესტი, ისე სამშენებლო სამმართველო მშენებლობას არ ამარაგებენ მასალებით და არ უწევენ საჭირო ტექნიკურ ხელმძღვანელობას, რის შედეგადაც უკანასკნელად შესრულებული ზოგიერთი სამუშაო უხარისხოა. საქმეს ისიც უშლის ხელს, რომ ხშირად იცვლება სამუშაოთა მწარმოებელი.

საჭიროა დაუყოვნებლივ აღმოიფხვრას ეს ნაკლოვანებანი. სკოლები ყოველმხრივ მომზადებული უნდა შეხვდნენ ახალ სასწავლო წელს.

ს. კუჭავა.

შესანიშნავი ინიციატივა

მახარაძე. (საკ. კორ.). სოფელ ჯუმათის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა ინიციატივით დაიწყო და სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ამ სოფლის საშუალო სკოლისათვის სამსართულიანი შენობის აგება.

შენობის ორი სართული უკვე დამთავრებულია, შენდება მესამე სართული.

შენობა, რომლის აგებაზე 3,5 მილიონი მანეთი დაიხარჯება, ერთ-ერთი უდიდესი და ულამაზესი იქნება რაიონის სკოლების შენობათა შორის.

ახალი სასკოლო შენობები

სოხუმი. ორჯონიკიძისა და გოგებაშვილის ქუჩების კუთხეში ამენდა სომხური სამუალო სკოლის სამსართულიანი შენობა, რომელიც მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან გადაეცემა საექსპლოატაციოდ. შენობას აქვს 11 საკლასო ოთახი, 7 კაბინეტი — ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიებისათვის, სასპორტო დარბაზი სათადარიგო ოთახებით, სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, ოთახი ბიბლიოთეკისათვის, საექიმო კაბინეტი და ა. შ.

სკოლის შენობის ქვედა სართულში ეწყობა სასკოლო სახელოსნო საჰარხო-საზეინკლო განყოფილებით, აგრეთვე მანქანათმცოდნეობისა და ელექტროტექნიკის კაბინეტები. („კომუნისტის“ კორ.).

თეთრი წყარო. (საკ. კორ.). სოფელ დუმანისში შვიდწლიანი სკოლისათვის შენობა არ ჰქონდათ. სკოლა მოთავსებული იყო დაქირავებულ შენობებში. დუმანისელმა კოლმეურნეებმა თელაველთა მოწოდების პასუხად ვალდებულება იკისრეს თავიანთი სახსრებით აეგოთ სკოლის შენობა. მათ სიტყვა საქმედ აქციეს, მოკლე ხანში აშენეს ორსართულიანი სკოლის შენობა. ამ შენობაში 10 ოთახი განკუთვნილია კლასებისა და სასწავლო კაბინეტებისათვის.

კოლმეურნეობას სასკოლო შენობის მშენებლობა 150 ათასი მანეთი დაუჯდა. ახალ სასწავლო წელს ეს შენობა იქნება კოლმეურნეობის საუკეთესო საჩუქარი სოფლის მოსწავლეებისათვის.

ჩაის ფოთლის დამზადება

(„საქართველოს ჩაის“ ტრესტის 1957 წლის 26 აგვისტოს ცნობებით)

რაიონები	გეგმის შესრულება %-ობით წლიურისა	აგვისტოსი წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით	რაიკომების მდივნები, რაიაღმასკომების თავმჯდომარეები
ბათუმის	86,3	64,2	ს. ესაძე, ა. ანანიძე
ქობულეთის	77,1	45,9	ა. გოგიტიძე, ლ. წულუკიძე
ქედის	85,0	72,0	ვ. კოკვაძე, ვ. ნაკაშიძე
სულ აჭარაში	79,4	49,9	
გალის	67,7	24,2	დ. გოგოხია, ხ. ტუფფარია
ოჩამჩირის	76,3	35,4	ჩ. ამბაკუი, ტ. სოსელია
გულრიფშის	80,3	14,3	ლ. ელეჭჩიანი, შ. ბოკერია
სოხუმის	80,9	27,4	გ. ჭაჭია, პ. ცანავა
გუდაუთის	63,2	8,7	დ. ხვარაცია, კ. გერია
სულ აფხაზეთში	70,7	25,4	
მახარაძის	74,6	42,6	შ. ჭანყუვაძე, დ. საბაშვილი
ჩოხატაურის	73,6	30,7	ა. გობრონიძე, გ. მამალაძე
ლანჩხუთის	78,1	51,3	დ. მანწკავა, ნ. ვადაჭკორია
სამტრედიის	67,2	23,1	ნ. ფანცულაია, მ. ასათიანი
წულუკიძის	54,3	14,7	ს. ლეკვავა, მ. აბზიანიძე
ქუთაისის	65,4	22,3	მ. ბიბილაშვილი, ლ. ტაბიძე
წყალტუბოს	76,3	21,0	ვ. ურუშაძე, გ. გაგოშიძე
ტყიბულის	78,7	44,5	ქ. ლომაძე, ი. გიორგობიანი
ცხაკაიას	60,5	26,3	ი. ურუშაძე, დ. ბალათურია
აბაშის	49,5	7,3	ნ. ბოკერია, ა. ჯღარკავა
გეგეჭკორის	75,5	50,6	ქ. ხუბულავა, გ. შეროზია
ზუგდიდის	67,8	31,9	მ. დვინჯილია, ვ. ესართია
წალენჯიხის	84,4	66,4	ვ. კვარაცხელია, ი. ზარანდია
ხობოროწყუს	80,2	58,7	მ. ცანავა, შ. ხუნტუა
ხობის	77,4	49,0	ა. წურწუმია, ს. ნასარაია
თერჯოლის	75,5	9,6	პ. სახეჩიძე, ი. შუღლაძე
ზესტაფონის	58,0	2,8	შ. ხიდაშელი, გ. არევაძე
ჭიათურის	96,5	36,7	პ. აბესაძე, გ. ლომიძე
ვანის	108,0	—	ვ. ლილუაშვილი, ა. ლომინაძე
სულ საქ. სსრ-ში	74,2	39,9	

ნახევრადპროლეტარიატის მიმართ **ხელმძღვანელობის გასაწევადაც“** (გვ. 496).

პროლეტარული სახელმწიფო ნიშნავს ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის და ბურჟუაზიული დემოკრატიის მოსპობას და ახალი ტიპის დემოკრატიის შექმნას. პროლეტარული სახელმწიფოს წარმომადგენლობითს დაწესებულებებს თვით მშრომელები ირჩევენ. მშრომელთა მიერ არჩეულნი, როგორც ცა განსხვავდება დედამიწისაგან, ისე განსხვავდებიან ბურჟუაზიული პარლამენტარებისაგან, რომლებიც, როგორც წესი, მხოლოდ იმას აკეთებენ, რომ პარლამენტებში გამოდიან სიტყვებით, რომელთა მიზანია იმ ნამდვილი სახელმწიფოებრივი მუშაობის დაფარვა, რასაც იმპერიალისტი მესვეურები პარლამენტების კულისებში აწარმოებენ.

პროლეტარიატის დიქტატურა ნიშნავს დემოკრატიას ხალხის გიგანტური უმრავლესობისათვის. სანამ ქვეყანაში არსებობენ ექსპლოატატორული კლასები, ეს დემოკრატია აუცილებლობის გამო შეზღუდულია, დაკავშირებულია ამ კლასების ანტიხალხური საქმიანობის აღკვეთასთან. ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების, ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციის შემდეგ პროლეტარული სახელმწიფოს დემოკრატიზმი სავსებით გაიშალა, გახდა დემოკრატიზმი ყველასათვის.

წიგნში „სახელმწიფო და რევოლუცია“ ლენინი სპეციალურად იკვლევს პროლეტარული სახელმწიფოს მიერ ერების ერთიანობის ორგანიზაციის პრობლემას. საქმე ის არის, რომ ამ საკითხზე მარქსისა და ენგელსის შეხედულებათა დამახინჯების მიზნით ოპორტუნისტები მათ აიგივებდნენ ანარქიზმის ფრანგი თეორეტიკოსის პრუდონის შეხედულებებთან, რომელიც უარყოფდა ცენტრალიზებული პროლეტარული სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცების აუცილებლობას. ლენინმა ალადგინა და განავითარა ამ საკითხზე მარქსიზმის ჭეშმარიტი შეხედულებანი და გვიჩვენა, რომ მარქსი იყო ცენტრალიზებული პროლეტარული სახელმწიფოს მომხრე. მაგრამ პროლეტარული ცენტრალიზმი დემოკრატიული ცენტრალიზმია, იგი „...სრულიადაც არ გამორიცხავს ისეთ ფართო ადგილობრივ თვითმმართველობას, რომელიც, „კომუნებისა“ და ოლქების მიერ სახელმწიფოს ერთიანობის ნებაყოფლობითი დაცვისას, უთუოდ სპობს ყოველგვარ ბიუროკრატიზმს და ყოველგვარ „მბრძანებლობას“ ზემოდან“. (გვ. 554).

შემოქმედებითად უდგებოდა რა მარქსიზმს, ლენინმა გადასინჯა მარქსისტებს შორის მაშინ საერთოდ მიღებული დებულება ენგელსისა იმის შესახებ, რომ პროლეტარული სახელმწიფოს ფორმა უნდა იყოს პარლამენტური რესპუბლიკა. მან აღმოაჩინა საბჭოები როგორც მუშათა კლასის პოლიტიკური ბატონობის ყველაზე უფრო მიზანშეწონილი ფორმა რუსეთის პირობებში. თავის 1917 წლის შრომებში ლენინმა ყოველმხრივ დაასაბუთა ეს დებულება, განაზოგადებდა რა საბჭოებში მასების რევოლუციურ პრაქტიკას. ამასთან ერთად ლენინი აღნიშნავდა, რომ **საბჭოები** პროლეტარიატის დიქტატურის ერთადერთი ფორმა როდია. კონკრეტული ისტორიული პირობები გარდუვალად წარმოშობენ პოლიტიკური ფორმების მრავალფეროვნებას. „კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლამ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ მოგვცეს პოლიტიკური ფორმების დიდი სიმრავლე და ნაირნაირობა, მაგრამ არსი ამასთან გარდუვალად ერთი იქნება: **პროლეტარიატის დიქტატურა“** (გვ. 508).

ისტორიამ სავსებით დაადასტურა ლენინის ეს აზრი. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ფორმების განსხვავებასთან ერთად, ისევე როგორც საბჭოთა კავშირში, სახელმწიფო ემყარება მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირს, მოასწავებს საზოგადოებისადმი სახელმწიფოებრივ ხელმძღვანელობას მუშათა კლასის მხრივ, იცავს მშრომელთა ძირეულ ინტერესებს, ახორციელებს ერთსა და იმავე ძირითად ფუნქციებს.

III

ლენინის წიგნის „სახელმწიფო და რევოლუცია“ განსაკუთრებული თავი მიძღვნილია სახელმწიფოს კვდომის საკითხისადმი. ლენინი ანალიზს უკეთებს და ავითარებს მარქსის მიერ „გოთას პროგრამის კრიტიკაში“ გამოთქმულ დებულებებს და ავლენს პროლეტარული სახელმწიფოს კვდომის ეკონომიურ საფუძველს. იგი გვიჩვენებს დიდ ეკონომიურ როლს პროლეტარიატის დიქტატურისა, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს კომუნისტური საზოგადოების აშენება. სახელმწიფოს აუცილებლობა გაქრება მხოლოდ კომუნიზმის უმაღლეს ფაზაში, როდესაც შეიქმნება კომუნიზმის ყველა მატერიალური და სულიერი წანამძღვარი, მოისპობა ძველი წყობილების ყველა „თანდაყოლილი ნიშნები“. 1919 წელს, გამოდის რა ლექციით სახელმწიფოს შესახებ, ლენინი აყალიბებს დებულებას, რომ პროლეტარული სახელმწიფო მოკვდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც პროლეტარიატი გაიმარჯვებს მსოფლიო მასშტაბით. სახელმწიფოს შესახებ იგი მაშინ ამბობდა: „ამ მანქანით ანუ კეტით ჩვენ გავანადგურებთ ყველგვარ ექსპლოატაციას, და, როდესაც ქვეყნად აღარ დარჩება ექსპლოატაციის შესაძლებლობა, აღარ დარჩებიან მიწათმფლობელნი, ფაბრიკების მფლობელნი, აღარ იქნება ისე, რომ ზოგნი ყელამდე მაძღარი იყვნენ, ზოგნი კი მშიერნი, — მხოლოდ მაშინ, როცა ამის შესაძლებლობა აღარ იქნება, ჩვენ ამ მანქანას დასამსხვრევად გადავდებთ. მაშინ აღარ იქნება სახელმწიფო...“ (თხზ., ტ. 29, გვ. 576).

იკვლევს რა საკითხს სახელმწიფოს კვდომის შესახებ, ლენინი იძლევა კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გარდამავალი პერიოდის საერთო დახასიათებას, ამასთან, გამოყოფს კომუნიზმის პირველ და მეორე საფეხურებს ანუ ფაზებს. ლენინი ხაზს უსვამს მარქსის დასკვნას იმის შესახებ, რომ კომუნიზმი არ შეიძლება დამყარდეს კაპიტალისტების ბატონობის მოსპობისთანავე. საჭიროა კაპიტალისტური საზოგადოების კომუნისტურ საზოგადოებად რევოლუციური გარდაქმნის მთელი გარდამავალი პერიოდი. ამ პერიოდში საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაცია შეიძლება იყოს მხოლოდ პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურა.

პროლეტარული სახელმწიფო უზრუნველყოფს კომუნიზმის პირველი ფაზის — სოციალისტური საზოგადოების აშენებას, ხოლო შემდეგ წარმოადგენს მშრომელთა ხელში კომუნიზმის მეორე, უმაღლესი ფაზის აშენების იარაღს.

ვ. ი. ლენინი ამხილებს, თუ რამდენად სულელურია ბურჟუაზიული წარმოდგენა იმის შესახებ, თითქოს სოციალიზმი ნიშნავდეს საზოგადოებრივ უძრაობას, საზოგადოების პროგრესისათვის სტიმულების არარსებობას: „...ნამდვილად **მხოლოდ** სოციალიზმიდან დაიწყება სწრაფი, ნამდვილი, მართლაც მასობრივი, მოსახლეობის **უმრავლესობის,** შემდეგ კი მთელი მოსახლეობის მონაწილეობით წარმოებული წინსვლა საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ყველა დარგში“ (თხზ., ტ. 25, გვ. 588).

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებამ აამოქმედა ხალხის მასების გიგანტური შემოქმედებითი ძალები, შექმნა ახალი, უფრო ფართო შესაძლებლობანი კომუნიზმის მშენებლობის საქმისათვის ამ ძალების დასარაზმავად. ამის მკაფიო დადასტურებაა სასახელო შედეგები, რომლებითაც საბჭოთა ხალხი ხვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს.

საზოგადოების განვითარების დონე კომუნიზმის პირველ საფეხურზე, აღნიშნავს ლენინი, კიდევ არ იძლევა საზოგადოების წევრთა მოთხოვნილებების მთლიანად დაკმაყოფილების შესაძლებლობას. ამიტომ აქ გაბატონებულია პრინციპი: თვითეულისაგან — უნარის მიხედვით, თვითეულს — შრომის მიხედვით. კომუნიზმის პირველი ფაზა იძლევა თანასწორობას მთავარში, გადამწყვეტში — წარმოების საშუალებებისადმი დამოკიდებულებაში. ამის საფუძველზე ჩაედება კომუნიზმის პირველი ფაზიდან თანდათანობითი გადასვლა მის მეორე, უმაღლეს ფაზაზე. სოციალისტური სახელმწიფო ახორციელებს კონტროლს შრომის ზომისა და მოხმარების ზომისადმი, ნერგავს კომუნისტურ დამოკიდებულებას შრომისადმი, საზოგადოებრივი საკუთრებისადმი, სახელმწიფოებრივი ინტერესებისადმი.

„მანამდე, სანამ კომუნიზმის „უმაღლესი“ ფაზა დადგებოდეს, — წერდა ლენინი, — სოციალისტები მოითხოვენ შრომის ზომისა და მოხმარების ზომის **უსასტიკეს** კონტროლს საზოგადოების მხრივაც და **სახელმწიფოს მხრივაც...“** (იქვე, გვ. 585). მხოლოდ საწარმოო ძალთა უდიდესი აღმავლობისა და მშრომელთა შეგნებულობის ზრდის საფუძველზე შეიქმნება პირობები, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ გადავიდეთ კომუნიზმის პრინციპზე, რომელიც ამბობს: თვითეულისაგან — უნარის მიხედვით, თვითეულს — მოთხოვნილებების მიხედვით.

იმ დროს ლენინი წერდა, რომ არ შეიძლება იმის თქმა, თუ როგორი იქნება კომუნიზმის უმაღლესი საფეხურისაკენ საზოგადოების განვითარების კონკრეტული გზები და ფორმები. ეს უნდა გვიჩვენოს ცხოვრებამ, იმ მილიონობით მშრომელის პრაქტიკამ, რომლებიც ახალი საზოგადოების მშენებლობას ახორციელებენ. ლენინი გვაფრთხილებდა არ გამოგვეჩინა პროექტიორობა, არ დაგვეწყო სქოლასტიკური მკითხაობა იმის შესახებ, რის თქმაც ჯერ კიდევ არ შეიძლება.

„ავითარებს რა მარქსისტულ თეორიას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ჩვენი ქვეყნის მშრომელებს უხსნის კომუნიზმისაკენ წინსვლის მეცნიერულად დასაბუთებულ პერსპექტივებს. უკანასკნელ წლებში პარტიამ განახორციელა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებები, რომელთა მიზანია საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცება, კომუნიზმის წარმატებით მშენებლობის უზრუნველყოფა. იკავს რა თავისი XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, პარტიას საბჭოთა ხალხი მიჰყავს იკონომიკის შემდგომი განუხრელი აღმავლობის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის ამაღლების გზით.

სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულება ნიშნავს საბჭოთა სახელმწიფოს — **კომუნიზმის** მშენებლობის მთავარი იარაღის და მთელ მსოფლიოში მშვიდობის საიმედო დასაყრდენის — შემდგომ განმტკიცებას. ვინც ეწინააღმდეგება ამ გადაწყვეტილებათა შესრულებას, იგი ასუსტებს სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებას, ზიანს აყენებს მშრომელთა ინტერესებს. ამიტომაც ასე ერთსულოვნად მიიღეს და მოიწონეს ჩვენმა პარტიამ და მოძმე პარტიებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ, რომელიც ცდილობდა ფრაქციული მეთოდებით შეეცვალა სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებზე დამყარებული პარტიის პოლიტიკური ხაზი.

* * *

ორმოცმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ლენინმა შექმნა თავისი გენიალური ქმნილება — „სახელმწიფო და რევოლუცია“. ეს წლები უფრო ნეტად, ვიდრე წინანდელი განვითარების საუკუნეები, მდიდარია უდიდესი ისტორიული ამბებით: ოქტომბრის რევოლუცია, შინაური კონტრრევოლუციისა და უცხოელთა სამხედრო ინტერვენციის განადგურება 1918-1920 წლებში, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენება, ჰიტლერიზმის განადგურება, იმპერიალიზმის ჯაჭვის ახალი გაწყვეტა და ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში სახალხოდემოკრატიული სახელმწიფოების შექმნა, მსოფლიო სოციალისტური ბანაკის ზრდა და განმტკიცება. — ყოველივე ეს მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმა სისწორისა და ცხოველმყოფელობის ბრწყინვალე დადასტურებაა.

ვ. ი. ლენინის წიგნი „სახელმწიფო და რევოლუცია“ ახლა, ისევე როგორც 40 წლის წინათ, უნათებს ჩაგრულ ხალხებს კაპიტალიზმის უღლისაგან განთავისუფლების გზას, ხოლო იმ ხალხებს

შვეიცარიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

სტოკჰოლმი, 26 აგვისტო. (საკდესი). როგორც გაზეთი „ნიუ დაგი" იუწყება, 24-25 აგვისტოს სტოკჰოლმში გაიმართა შვეიცარიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა განიხილა საკითხი კომუნისტური პარტიის დამოკიდებულების შესახებ ჰენსენის საკითხზე რეფერენდუმისადმი, რომელიც 13 ოქტომბერს მოეწყობა. ძოხსენება გააკეთა კომპარტიის თავმჯდომარემ ჰილდინგ ჰაგბერგმა. ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო მიმართვა პარტიის ყველა წევრისადმი და მოუწოდა იბრძოლონ იმისათვის, რომ მაქსიმალურად დაუჭირონ მხარი წინადადებას, რომელიც ითვალისწინებს ყველა მუშისა და მოსამსახურისათვის პენსიის სავალდებულო ანაზღაურების შეტოლებას.

— ამ შემთხვევაში, — განაცხადა ჰ. ჰაგბერგმა, — საქმე ეხება გადამწყვეტ ბრძოლას კაპიტალის უღლის წინააღმდეგ. ბრძოლას შექმნილ ფასეულობათა მოხმარებაში მშრომელთა წილის გადიდებისათვის.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა აგრეთვე ღონისძიებანი კომუნისტური პრესის გაფართოებისა და გაძლიერებისათვის, აგრეთვე პარტიის ყრილობის მომზადებისათვის. ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა მოიწვიოს შვეიცარიის კომპარტიის XVIII ყრილობა 1957 წლის 28-31 დეკემბერს.

შიკაგზე ბრძოლების 80 წლისთავი

შიკაგო, 24 აგვისტო. (საკდესი). დღეს და ხვალ ბულგარელი ხალხი ზეიმით აღნიშნავს შიკაგის უღელტეხილზე განთქმული ბრძოლების 80 წლისთავს, სადაც განსაკუთრებით მკაფიოდ იჩინა თავი რუსი ჯარისკაცებისა და ბულგარელი მოლაშქრეების გმირობამ 1877-1878 წლების განმათავისუფლებელი ომის დროს.

დღეს სადღესასწაულოდ მორთულ შიკაგზე დაიწყო სახალხო სეირნობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ათეულ ათასობით კაცმა. ესტრადებზე გამოდიოდნენ ახლომახლო ქალაქებისა და სოფლების მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები, აგრეთვე ბულგარეთში საგასტროლოდ მყოფი საბჭოთა ესტრადის მსახიობები.

საღამოს ითნთო დიდი ფეიერვერკი. სახალხო სეირნობამ გვიან ღამემდე გასტანა.

ეგვიპტისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა მოლაპარაკება ქენევაში

ჟენევა, 26 აგვისტო. (საკდესი). დღეს ქენევაში დაიწყო მოლაპარაკება ეგვიპტისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა შორის. მოლაპარაკების ძირითადი თემაა სუეცის არხის ყოფილი კომპანიის ნაციონალიზაციის შემდეგ და ეგვიპტეში ინგლის-საფრანგეთის აგრესიის შემდეგ წარმოშობილი ფინანსური საკითხების მოწესრიგება.

როგორც პარიზიდან შვეიცარიის დეპეშათა საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ამ მოლაპარაკების დროს განიხილავენ აგრეთვე ეგვიპტესა და საფრანგეთს შორის დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის განახლების საკითხს.

ეს მოლაპარაკება პირველი ოფიციალური კონტაქტი ეგვიპტისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ.

საერთაშორისო კინოფესტივალი ვენეციაში

ვენეცია, 26 აგვისტო. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა მხატვრული ფილმების XVIII საერთაშორისო კინოფესტივალი, რომელშიც მონაწილეობენ ინგლისი, იტალია, იტალია, საბჭოთა კავშირი, საფრანგეთი, იუგოსლავია, ამერიკის შეერთებული შტატები, ინდოეთი, ესპანეთი და მექსიკა.

საბჭოთა კინემატოგრაფია წარმოდგენილი იქნება რეჟისორ ბრაუნის მხატვრული ფილმით „მალვა".

მიტინგი დელში მშვიდობის დასაცავად

დელი, 26 აგვისტო. (საკდესი). გაზეთი „ინდიან ექსპრესი" იუწყება, რომ გუშინ აქ გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭომ მოაწყო. მიტინგის მონაწილეებმა მოუწოდეს ინდოეთის მთავრობას აზიისა და აფრიკის სხვა ქვეყნების მთავრობებთან ერთად გადადგას ნაბიჯები, რათა ბოლო მოეღოს იმპერიალისტების ჩარევას არაბთა ქვეყნების საშინაო საქმეებში. შეკრებილებმა განაცხადეს, რომ სავსებით უჭერენ მხარს არაბი ხალხების ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის და ეროვნული სუვერენიტეტის შენარჩუნებისათვის.

მიტინგზე მიღებული რეზოლუცია გადაეგზავნა გბობს ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა კოლონიურ პოლიტიკას, რომლებიც ახშობენ ომანისა და ალჟირის ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლას. რეზოლუცია შეიცავს მოთხოვნას, რომ გაიყვანონ უცხოეთის ჯარები ომანისა და ალჟირის ტერიტორიიდან.

ბრძოლები ალჟირში

პარიზი, 26 აგვისტო. (საკდესი). ალჟირიდან მიღებული ცნობებით, ალჟირის ეროვნული განთავისუფლების არმიის ერთ-ერთი ქვეგანყოფი გუშინ თავს დაესხა ქალაქ მასკარას, რომელიც მდებარეობს 100 კილომეტრზე ორანიდან. საფრანგეთის ჯარებთან და ჟანდარმერიასთან გამართულ ბრძოლაში ალჟირელებმა დაკარგეს ცხრა კაცი მოკლულთა სახით. ფრანგების ზარალს არ იუწყებიან.

ალჟირელ აჯანყებულთა მეორე რაზმმა იერიში მიიტანა ფრანგთა ჯარის ნაწილებზე ქალაქ ტიარეტში.

როგორც პარიზის პრესა აღნიშნავს, საფრანგეთის ეროვნული თავდაცვის მინისტრმა ანდრე მორისმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ „საჭირო შემთხვევაში" საფრანგეთის ჯარები ალჟირში გამოიყენებენ „მოწინააღმდეგის დევნის უფლებას" მაროკოს ტერიტორიაზე. კომენტარს უკეთებს რა მორისის ამ განცხადებას, გაზეთი „ლიბერასიონი" წერს: „საქმე ეხება იმას, რომ რომელიმე სასაზღვრო ინცინდენტის საბაბით საფრანგეთის შეიარაღებული ძალები, რომლებიც ალჟირში იმყოფებიან, შეძლებენ შევიდნენ მაროკოს ტერიტორიაზე"...

აარჩევნების წინ დასავლეთ გერმანიაში

ახალი ოპოზიციური პარტია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში

ბერლინი, 26 აგვისტო. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, ამას წინათ დასავლეთ ბერლინში გაიმართა პარტია „სრულიად გერმანიის ბლოკის" დასავლეთ ბერლინის ორგანიზაციის საგანგებო ყრილობა ნიშნად პროტესტისა პარტიის ხელმძღვანელობის მოქმედების წინააღმდეგ, რომელიც ხსარს უჭერს ადენაუერის მთავრობის პოლიტიკას. ყრილობამ გამოიტანა გადაწყვეტილება გამოვიდეს „სრულიად გერმანიის ბლოკიდან" და შექმნას ახალი პარტია— „დამოუკიდებელი სრულიად გერმანიის ბლოკი". „სრულიად გერმანიის ბლოკიდან" გამოსვლისა და ახალ პარტიაში შესვლის შესახებ განაცხადეს აგრეთვე ამ პარტიის საარის ორგანიზაციამ და „სრულიად გერმანიის ბლოკის" დიუსელდორფის რაიონის მეტმანის ორგანიზაციამ.

ყრილობის გადაწყვეტილებაში, კერძოდ, ნათქვამია:

ვინც ადენაუერს უჭერს მხარს, ის აფერხებს გერმანიის გაერთიანებას ვინც ამტკიცებს, რომ გაერთიანება შეიძლება პროგრესულად განხორციელდეს „ძალის პოზიციის" პოლიტიკის საშუალებით, რომელსაც ნატო ახორციელებს, ის ატყუებს გერმანელ ხალხს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ადენაუერის საგარეოპოლიტიკური კურსი იმას იწვევს, რომ გერმანიის გათიშვა სამუდამო გახდეს.

ახალი პარტია მოითხოვს, რომ უარი თქვან ბუნდესვერის ატომური იარაღით აღჭურვაზე, მოითხოვს აიკრძალოს მასობრივი მოსპობის ყველა სახეობის იარაღი და გაუქმდეს სამხედრო ბეგარა. იგი მოითხოვს, რომ გამოიყვანონ ფედერაციულ რესპუბლიკასა და სამხეთა კავშირს შორის, აგრეთვე ორივე გერმანულ სახელმწიფოს შორის მოლაპარაკების ყველა შესაძლებლობა.

დასავლეთის სახელმწიფოთა სამხედრო მოსამსახურეები დაუსჯელად თარეშობენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში

ბერლინი, 26 აგვისტო. (საკდესი). ადნის საგენტომ გადასცა დასავლეთ გერმანიის ჰესენის მხარის მთავარი პროკურორის ბაუერის განცხადება, რომელიც მან გააკეთა გერმანიის საზოგადოებრიობის პროტესტთან დაკავშირებით ომის წინააღმდეგ, რომ ამერიკის სამხედრო სასამართლომ გაამართლა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ოფიცერი, რომელმაც სიმთვრალის დროს ავტომობილით გაიტანა და სასიკვდილოდ დაშავა ოთხი გერმანელი.

როგორც ბაუერის განცხადებიდან ჩანს, დასავლეთის სახელმწიფოთა სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იმყოფებიან, შეუძლიათ ჩაიდინონ დანაშაული ისე, რომ მათ მსჯავრი არ დასდონ დასავლეთ გერმანიის სასამართლოებმა. ამასთან დაკავშირებით ბაუერმა დაიმოწმა პარიზის შეთანხმებანი, რომელთა მიხედვით დასავლეთ გერმანიის იუსტიციის ორგანოებს უფლება არა აქვთ პასუხისგებაში მისცენ დასავლეთის სახელმწიფოთა სამხედრო მოსამსახურეები მათ მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის. დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლებმა იმასაც კი ვერ მიაღწიეს, რომ ნება დართონ მათ ბრალმდებლად ან მოწმედ გამოვიდნენ პროცესებზე დასავლეთის სახელმწიფოთა სამხედრო სასამართლოებში.

ადენაუერის ახალი წინასაარჩევნო მანევრი

ბონი, 26 აგვისტო. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის დასს საგენტო იუწყება, რომ საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის მოსკოვის მოლაპარაკებასთან დაკავშირებით ბონის ხელმძღვანელმა წრეებმა გადაწყვიტეს წინადადება შეიტანონ, რომ ეს მოლაპარაკება გადაიდოს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არჩევნების დამთავრებამდე, თუ საბჭოთა მთავრობამ არ მიიღო დასავლეთ გერმანიის თვალსაზრისი „გერმანელ მოქალაქეთა რეპატრიაციის" საკითხში.

ამრიგად, როგორც ამ ცნობიდან ჩანს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი წრეები თავისებურ ულტიმატუმს აყენებენ.

ინდონეზიის ეროვნული კონგრესის მიმართვა

ჯაკარტა, 26 აგვისტო. (საკდესი). როგორც ანტარას სააგენტო იუწყება, 24-დან 26 აგვისტომდე მიმდინარეობდა სესია ინდონეზიის ეროვნული კონგრესის — პატრიოტული ორგანიზაციისა, რომელიც 1955 წელს შეიქმნა ხალხის მთელი ძალების გასაერთიანებლად კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. სესიამ მთავრობას მოუწოდა რაც შეიძლება მალე განახორციელოს მრგვალი მაგიდის კონფერენციის შეთანხმებათა ლიკვიდაცია, გაუმჯობესოს ფინანსური და ეკონომიური პოლიტიკა და მიიღოს მტკიცე ღონისძიებანი ხალხის მდგომარეობის გასუმჯობესებლად.

სესიამ მტკიცე პროტესტი განაცხადა ინგლისის აგრესიის წინააღმდეგ ომანში, მოუწოდა მთავრობას აზიის, აფრიკის ქვეყნებსა და სხვა ქვეყნებთან ერთად დარაზმოს მთელი ძალები როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შიგნით, ისე მის გარეთ, რათა ეფექტიანად შეუწყოს ხელი აგრესიის შეწყვეტას ომანში.

მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციები ამანში

დამასკო, 26 აგვისტო. (საკდესი). გაზეთების ცნობით, იორდანიის სახელმწიფო დაწესებულებათა მუშებმა, მოსამსახურეებმა და მოხელეებმა გაფიცვა გამოაცხადეს. ამაში ხალხმრავალი დემონსტრაციები გაიმართა.

დემონსტრანტები მოითხოვდნენ ამ ქვეყნის ტერორისტული რეჟიმის დამხობას და მიესალმებოდნენ ეგვიპტისა და სირიის ხალხებს და არაბთა განმათავისუფლებელ პოლიტიკას, რასაც ეს ქვეყნები ახორციელებენ.

პოლიციამ და არმიამ მხეცურად გარეკეს დემონსტრაციები და დაატყვევა ბრალდებულთა ზოგიერთი ხელმძღვანელი მოღვაწე.

ჰენდერსონი აქტივობას იჩენს

სტამბოლი, 26 აგვისტო. (საკდესი). გუშინ სტამბოლიდან ესპანეთში გამგზავრების წინ იორდანიის მეფე ჰუსეინმა ოტელ „ჰილტონში" მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილის მოადგილე ლოი ჰენდერსონი.

პრესის ცნობებით, ამ საუბრის დროს, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი თურქეთში უორენი და იორდანიის ელჩი თურქეთში, განხილული იყო შუა აღმოსავლეთის „კრიზისული მდგომარეობა", რომელიც თითქოს „წარმოშვა სირიის უკანასკნელ ამბებთან დაკავშირებით. განხილული იყო აგრეთვე იორდანიის ბაღდადის პაქტში შესვლის საკითხი".

გუშინ თურქეთის პრეზიდენტმა ჯელალ ბაიარმა მიიღო ლოი ჰენდერსონი. გაზეთების ცნობებით, საუბრის დროს, რომელსაც დაესწრნენ თურქეთის პრემიერ-მინისტრი ადნან მენდერესი და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი თურქეთში უორენი, ჰენდერსონმა ჩამოაყალიბა ამერიკის შეერთებული შტატების „ახალი პოლიტიკა" შუა აღმოსავლეთში.

ამერიკელი ჯარისკაცების ხულიგნობა ჭოკიოში

ტოკიო, 26 აგვისტო. (საკდესი). გუშინ საღამოს სამმა ამერიკელმა ჯარისკაცმა სასტუმრო „დაიიცის" შენობის, სადაც საბჭოთა ბალეტის მსახიობები დაბინავდნენ, მოგლიჯეს საბჭოთა ალმები და ფეხებით გათელეს.

ამ უმსგავსოებამ გამვლელთა აღშფოთება გამოიწვია. მათ სცადეს ხულიგნების დაკავება. მაგრამ, საფრთხე რომ იგრძნეს, ხულიგნები მიიმალნენ. შემთხვევის ადგილას გამოიწვიეს იაპონიის პოლიცია, აგრეთვე ამერიკის სამხედრო პოლიცია.

სსრ კავშირის საელჩოს მრჩეველმა იაპონიაში ადირსავემა დღეს ინახულა იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის გახყოფილების უფროსი კანაიამა და გაუკეთა მას განცხადება, რომლითაც აცნობა, რაც მოხდა, და სთხოვა მიიღოს ღონისძიებანი დამნაშავეთა დასასჯელად და იმისათვის, რომ ასეთი შემთხვევები აღარ იქნას დაშვებული მომავალში.

ქობულეთის საბავშვო სანატორიუმში ყოველწლიურად ისვენებენ მოსკოვისა და ლენინგრადის, ბაქოსა და ერევნის, თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების მშრომელთა ბავშვები. ს უ რ ა თ ზ ე: ბავშვები ქობულეთის პლაჟზე.

ფოტო ა. აბულაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ინდოეთის გაზეთ „ჰინდუსტან ტაიმსის" მთავარი რედაქტორი დურგა დასი სოხუმში

სოხუმი, 27 აგვისტო. (საქდესი). თბილისიდან ჩამოვიდა ინდოეთის გაზეთ „ჰინდუსტან ტაიმსის" მთავარი რედაქტორი დურგა დასი. იგი გაეცნო სოხუმის ღარსშესანშნავ ადგილებს. დაათვალიერა სოხუმის რაიონის სოფელ კელასურის ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობა. დურგა დასი დაინტერესდა კოლმეურნეთა შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების საკითხებით, იყო მინდვრებსა და პლანტაციებში, ბაღებში, მეცხოველეობის ფერმაში. სტუმარმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა კოლმეურნეთა ცხოვრებისადმი, სოფლის კულტურისადმი. კოლმეურნეობის გაგეობამ ვახშამი გამართა მის პატივსაცემად.

დურგა დასი დღეს მოსკოვში გაფრინდა. იგი აეროპორტში გაეცილეს ადგილობრივი გაზეთების წარმომადგენლებმა.

საერთაშორისო საპარაშუტო შეჯიბრება იუგოსლავიაში

ბელგრადი, 25 აგვისტო. (საკდესი). როგორც ტანიუგის სააგენტო იუწყება, გუშინ ტივატმი (ჩერნოგორია) დამთავრდა საერთაშორისო საპარაშუტო შეჯიბრება.

საუკეთესო შედეგები მოიპოვა საბჭოთა პარაშუტისტმა იური ტეკლინმა, რომელმაც 1.125 ქულა შეაგროვა 1.200 შესაძლებელიდან. მას მიეკუთვნა ჩერნოგორიის სახალხო სკუშჩინის თავმჯდომარის ბ. ივანოვიჩის თასი. მეორე ადგილი დაიკავა იუგოსლავმა პარაშუტისტმა დ. დამიანოვიჩმა, რომელმაც 1.095 ქულა შეაგროვა მესამე ადგილზეა საბჭოთა სპორტსმენი მიხეილ დმიტროვი (1031 ქულა).

შეჯიბრების მონაწილე ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა საბჭოთა სპორტსმენმა ნადეჟდა პრიახინამ (1.033 ქულა).

ქართველი ალპინისტები ჯანგი-ტაუზე ავიდნენ

მამაცმა ქართველმა ალპინისტებმა ახალი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. მათ მოაწყეს რეკორდული ტექნიკური ასვლა ჯანგი-ტაუს მწვერვალზე, რომლის სიმაღლე 5.049 მეტრია.

19 აგვისტოს დილით მამაცმა ალპინისტებმა სპორტის ოსტატმა გ. გულბანმა, პირველთანრიგოსნებმა სოზარ და დიმიტრი გუგავებმა, არქიტექტორმა ი. უალაშვილმა, ისტორიკოსმა გ. ბერძენიშვილმა და საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ს. ხაბეიშვილმა დაიწყეს მწვერვალ ჯანგი-ტაუს იერიში. იერიში დაიწყო სამხრეთის კედლით. ასვლა კი ტექნიკურად რთული მარშრუტით მოიწყო პირველად და საბჭოთა ალპინისტების ახალი მიღწევაა. ასვლას ხელს უშლიდა ხშირი ნისლი, ქარიშხალი და ძლიერი თოვლი. გზა, რომელიც მამაცმა ალპინისტებმა აარჩიეს, დღემდე არავის არ გაუვლია. ხუთი დღის განმავლობაში ჯგუფი მამაცურად უტევდა მუუვალ შვეულ კლდეებს, ციცაბო ყინულის თხემებსა და თოვლის ლავგარდანებს. საიმედოდ რომ დაიკავათ ერთმანეთი, სპორტსმენები მიდიოდნენ წყვილწყვილად, ერთმანეთზე ალპინისტური თოკით გადაბმულნი.

ამ არახელსაყრელ მეტეოროროლოგიურ პირობებში ექვსი ალპინისტი 23 აგვისტის 12 საათსა და 45 წუთზე აიიდა ჯანგი-ტაუს მწვერვალის ყინულოვან გუმბათზე. (საქდესი).

ევროპის ჩემპიონატი ჭადრაკში

ბადენი, 26 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). 25 აგვისტოს მეოთხე ტურით დაიწყო ჭადრაკში ევროპის პირველობაზე შეჯიბრების მეორე ნახევარი. ჩეხოსლოვაკიის მოჭადრაკეები მეტად აქტიურად თამაშობდნენ საბჭოთა მოჭადრაკეების წინააღმდეგ კოზმა ტალთან პარტიაში კონტრშეტევაზე გადავიდა და გამარჯვება მოიპოვა, ფილიპმა დაამარცხა მსოფლიოს ჩემპიონი სმისლოვი. დიდი ალმაცლობით იბრძოდნენ კერესი და ბრონშტეინი. პირველმა მოუგო გროსმაისტერ ჰახმანს, მეორემ — ოსტატ ზიტს. მეოთხე ქულა შესძინა საბჭოთა გუნდს კორჩნოიმ, რომელმაც დაამარცხა პიტჰარტი. ორი პარტია ყაიმით დამთავრდა. ჯეიჯერობითი ანგარიშია 4 : 3 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ. იუგოსლავიის მოჭადრაკეებმა სამი პარტია მოუგეს გერმანელ მოჭადრაკეებს და ექვსი პარტია ყაიმით დამთავრეს.

ოსტატი ლ. აბრამოვი.

რესპუბლიკური ჩემპიონატი ფეხბურთში

საქართველოს 1957 წლის პირველობის გუთამაშება ფეხბურთში პირველი ჯგუფის გუნდებისათვის დროებით შეჩერებულია. ეს იმით არის გამოწვეული, რომ რესპუბლიკის ნაკრები გუნდი, რომელიც დაკომპლექტებულია თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს, ბათუმის, სოხუმის, ქობულეთის, გორის, ლანჩხუთის, რუსთავისა და მახარაძის ფეხბურთელთა კოლექტივებია სპორტსმენებისაგან, ემზადება ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკებისა და მოლდავეთის სპარტაკიადისათვის. ეს ტრადიციული ასპარეზობა მოუწყობა ბაქოში.

დღეისათვის პირველობის გათამაშების ლიდერია თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდი, რომელსაც 20 თამაშიდან 30 ქულა აქვს. 21 თამაშიდან შეგროვილი 29 ქულით მეორე ადგილზეა ბათუმის „დინამო". მესამე ადგილზეა ქობულეთის „კოლმეურნე" (21 თამაშიდან 28 ქულა), მეოთხეზე — რუსთავის „ბურევესტნიკი" (21 თამაშიდან 26 ქულა), მეხუთეზე — ლანჩხუთის „კოლმეურნე" (21 თამაშიდან 25 ქულა).

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 474

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა

1957 წლის 14 აგვისტო.

1957-1958 წ. თბოგის სეზონის პერიოდში ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელების შესახებ

ზამთარში თბობის სეზონის პირობებში ქალაქის სახალხო მეურნეობის ობიექტებისა და საცხოვრებელი სახლების სახანძრო უშიშროების დროზე უზრუნველყოფის მიზნით თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გადაწყვიტა:

1. დაავალოს საწარმოთა, დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, საქალაქო და რაიონული საბინაო სამმართველოების უფროსებს, სახლმმართველებს, საუწყებო სახლებისა და საერთო საცხოვრებლების კომენდანტებს და სახლების პირად მესაკუთრეებს თბობის სეზონის დაწყებამდე, ე. ი. 1957 წლის 1 ნოემბრამდე, უზრუნველყონ შემდეგ ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელება:

ა) შეამოწმონ და დაამთავრონ ცენტრალური გათბობისა და ღუმელებით გათბობის საჭირო რემონტი, წესრიგზე მოიყვანონ ქვაბები და საქვაბე სათავსები, დაათბუნონ მილები და ხელსაწყოები ისეთ ადგილებში, სადაც ისინი შეიძლება გაყინონ, მოახდინონ შენობის ხის ნაწილებთან ახლო (10 სმ ნაკლებ მანძილზე) განლაგებული რადიატორებისა და მილების იზოლაცია ასბესტით ან თიხის ხსნარში გაჟღენთილი ქეჩით;

ბ) შეამოწმონ კვამლსადენები და ალიბეჭეები, გაწმინდონ ისინი ჭვარტლისაგან, ამოლესონ ჭუჭრუტანები, აღადგინონ ჩამოცვივნული შენალესი, შეათეთრონ და დანმრონ საკვამლეთა დგარმილები;

გ) შეამოწმონ, არის თუ არა და რა ზომის არის კვამლსადენების ჰორიზონტალური ძგიდეები ან ადგილებში, სადაც კვამლსადენები სხვენისა და სართულთშორის გადახურვებში გადის. ძგიდის ზომა კვამლსადენიდან შენობის ხის კონსტრუქციებამდე უნდა იყოს არანაკლებ 38 სანტიმეტრისა, ხოლო სახურავის ხის ლარტყულები კვამლსადენის გარშემო შემოჭრილი უნდა იყოს 10 სანტიმეტრზე;

დ) შეამოწმონ, არის თუ არა ნაპერწკალსაჭერი ხუფები საქვაბეების კვამლსადენებზე, და სადაც ისინი არ არის, დაადგმევინონ;

ე) შეამოწმონ და უზრუნველყონ, რომ ხის იატაკებზე ღუმელებს შენ იყოს თუნუქის ფურცლები;

ვ) წესრიგზე მოიყვანონ ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, დაათბუნონ ღია ადგილებში დადგმული ჰიდრანტები, სახანძრო ონკანები და ქაბიური ცეცხლსაქრობები;

ზ) უზრუნველყონ სათბობის დაწყობა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში, არ დაუშვან მისი შენახვა საერთო სარგებლობის ადგილებში;

თ) იქონიონ სახანძრო-საკონტროლო ჟურნალი კვამლსადენებისა და გასათბობი ხელსაწყოების გაწმენდისა და რემონტის აღსანიშნავად.

2. მილ-ღუმელის სამშენებლო ტრესტმა და ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების მილ-ღუმელის რაზმმა თბობის სეზონის დაწყებისათვის (ნოემბერი) დაამთავრონ სათბობი ხელსაწყოებისა და კვამლსადენების შეკეთება ორგანიზაციების, სახლმმართველობებისა და სახლების პირადი მესაკუთრეებისაგან შემოსული სადეფექტო აქტების და განაცხადების შესაბამისად.

3. აიკრძალოს ქ. თბილისის საწარმოთა და დაწესებულებათა უცლებლივ ყველა შენობაში, აგრეთვე საცხოვრებელ სახლებში:

ა) უწესივრო სათბობ და სახურებელ ხელსაწყოთა ექსპლოატაცია;

ბ) დროებითი ღუმელების დადგმა ქ. თბილისის გასამხედროებული სახანძრო დაცვის რაზმის რაიონული სახანძრო ნაწილების უნებართვოდ.

4. ამ გადაწყვეტილების, აგრეთვე სახანძრო უშიშროების დადგენილი წესებისა და მოთხოვნების დარღვევის ან შეუსრულებლობისათვის დაწესებულებების, საწარმოების, ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სახლების მმართველები, საუწყებო სახლებისა და საერთო საცხოვრებლების კომენდანტები აგრეთვე სახლების მფლობელნი სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1942 წ. 13 აგვისტოს №1364 დადგენილების საფუძველზე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოების მიერ მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში.

5. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებისადმი დაეკისროს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს და ქ. თბილისის გასამხედროებული სახანძრო დაცვის რაიონულ სახანძრო ნაწილებს.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ა. მელაძე.**

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანი **შ. ბაძრაძე.**

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის საკვლევი ინსტიტუტი აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1957-1958 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებში:

ნიადაგდამუშავებელი სათესი და სარგავი მანქანები — ერთი ადგილი.
მოსავლის ასაღები და პირველადი გადამუშავების მანქანები — ერთი ადგილი.
მობილური და სტაციონარული სასოფლო-სამეურნეო ძრავების — ერთი ადგილი.
მეცხოველეობაში შრომატევადი პროცესების მექანიზაცია და ელექტროფიკაცია — ერთი ადგილი.
ელექტროენერგიის წარმოება და განაწილება სოფლის მეურნეობაში — ერთი ადგილი.
მანქანა-ტრაქტორთა პარკის ექსპლოატაცია — ერთი ადგილი.
ელექტროფიკაცია და ელექტროამძრავები — ერთი ადგილი.
წარმოებისაგან მოუწყვეტლივ:
სასოფლო-სამეურნეო მანქანები — ერთი ადგილი.
ჩაის კულტურის სამუშაოთა მექანიზაცია — ერთი ადგილი.

ასპირანტურაში მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 35 წლის ასაკამდე, რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება არჩეული სპეციალობის მიხედვით, სპეციალობით მუშაობის სულ მცირე 2 წლის სტაჟი და გამოამძღავნეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარი.

დაუსწრებელ (წარმოებისაგან მოუწყვეტლივ) ასპირანტურაში მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 45 წლის ასაკამდე. ამასთანავე აქ შემსვლელი უნდა მუშაობდეს სპეციალობის მიხედვით და ჰქონდეს მუშაობის 2 წლის სტაჟი მაინც.

ასპირანტურაში შემსვლელმა განცხადება უნდა შეიტანოს ინსტიტუტის დირექტორის სახელზე.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის პირი, კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, დახასიათება სამსახურის უკანასკნელი ადგილიდან, პარტიული დახასიათება, ცნობა საწარმოო სტაჟის შესახებ, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, საბუთი სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულების შესახებ, დაბეჭდილი შრომების სია, სამეცნიერო შრომა ან რეფერატი, 3 ფოტოსურათი.

საბუთები წარმოდგენილ უნდა იქნას ორ ცალად. საბუთების მიღების ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა. მისაღები გამოცდები იწარმოებს 20 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტში, მისამართი: თბილისი, ბრძოლის ქ. № 54, ტელეფონი 3-03-95.

მეუღლე ელისაბედ, შვილები მერი, თამარ, ოლღა, კლარა, ლევან, რძალი ეთერ, სიძეები ა. ფიფია, ვ. შავგულიძე, ლ. კვარაცხელია ოჯახებით იუწყებიან

ვლადიმერ თედორეს-ძე სხულუხიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-IX სოფ. ცაიშში (ზუგდიდის რ.).

შვილები ქეთევან, ვასილ, ალექსანდრე, რაისა, ცაცა, რძლები ე. აბზიანიძე, ც. მაჭარაშვილი, სიძეები გ. ვაშაძე, გ. სვანიძე შვილებით იუწყებიან

ელენე რომანოზის ასულ თუთბერიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 29-VIII ქუთაისში, გამოსვენება ბინიდან, თბილისის ქ. № 24.

შვილები გიორგი, მარგარიტა, მარიკა, რძალი კაზდო, ძმა დავით, სიძე ს. ბაღაშვილი ოჯახებით იუწყებიან

სვიმონ გრიგოლის-ძე ქელბაქიანის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 28-VIII, 8 ს. გამოსვენება 29-VIII, 6 ს. წილკნის ქ. № 5.

შვილები მიხეილ, ნატაშა, მარო, ვახტანგ, ნათელა, ქენია, დები ოლია, თამარ, ქეთო, სიძეები მ. ადეიშვილი, გ. ღვალაძე, რძალი ვ. მინასოვა ოჯახებით იუწყებიან

ევა მიხეილის ასულ ნარიმანაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 29, 30-VIII, 8 ს. გამოსვენება 31-VIII, 5 ს. ხოშტარიას ქ. № 14.

მეუღლე სერგო, დედა ეკატერინე, დები ეფემია, ქეთევან, ძმები შიო, მიხეილ ოჯახებით იუწყებიან

თამარ ისაკის ასულ ბროლაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 28-VIII, 8 ს. დაკრძალვა 29-VIII, 6 ს. დიღომში.

მეუღლე აკვირინე, შვილები შალვა, ვლადიმერ, ალექსანდრე, მაგული, მერი, რძლები ბაბილინა, მარიკა, თალიკო ოჯახებით იუწყებიან

გიორგი ბეკოს-ძე კანდელაკის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 29-VIII სოფ. ზედა ბზვანში (ვანის რ.).

შვილები ელისე, ელენე, რძალი მარო, სიძე ნ. ჩუთლა